

კ ლ დ ე



ყოგელ-კვირეული

ქუჩაელი


1912



9. JCB

Lhuy ^{nu}
0.30

10/1/10-20
10/1/10-20
10/1/10-20
10/1/10-20




6201



ყოველი კვირეული ეგზრან:ლია

№ 1

ფასი 10 კპ.



№ 1

16 ენკენისთვე 1912 წ.
მიიღება ხელის მოწერა. ფასი
1 წლ.—5 მან. ამა 1912 წლ.
დამლევამდე—1 მან; 50 კაპ.
სოფლის მასწავლებელთ, სამ-
კითხველოებს და უმაღლეს სას-
წავლებლებში მოსწავლეთ ღაე-
თობათ 4 მან.

ქრეფი
მიუზი და სალიტერატურო შუხნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габაевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზისა: თბილისი კლდე.

წინასიტყვაობის მაგიერ.

„გააჩაღეთ ეკონომიური მუშაობა, მოაწყეთ სახალხო ეკონომიური ორგანიზაციები, ჩაუყარეთ ამ შენობას მკვიდრი საფუძველი; მასთან ერთად ეცადეთ, რომ ეს მუშაობა უსათუოდ ნაციონალურ ფარგლებში ისახებოდეს. შემდეგში თვითონ გაძლიერებული ხალხი მოიპოვებს დროს და საშუალებას, გამოიჩინოს თავისი თავი“...

აი, მოკლედ, მძლავრი შინაარსი პოლონეთის ხალხის მოძრაობისა მე-XIX საუკუნის დამლევს.

ყოველ მაშინდელ განათლებულ პოლონელის სულის კვეთება და მისწრაფება იყო: მოაწყოს ხალხის ფართო მასსაში საკუთარი ეკონომიური ორგანიზაციები (ბანკები, საკოოპერაციო დაწესებულებანი, სამეურნეო, მეღიორატიული და სხვა საზოგადოებანი). გამოიყვანოს საეკონომიო ბრძოლის ველზედ საშუალო წოდება თავის ვაჭრობამრეწველობით, რომელიც მაშინ ებრაელების და გერმანელების ხელში იყო, და ამით მოუბოვოს სამშობლოს ის ნამდვილი ძალა, რომლითაც პოლონეთს შესძლებოდა ახლად ამოეყო თავი საკაცობრიო ცხოვრების სარბიელზედ.

მართლაც, უნაყოფოდ არ ჩაუარა პო-

ლონეთს ამ მუშაობამ. ქვეყანა გაივსო სიმდიდრით, ხალხი გასწორდა წილში და ეხლადიდი იმედით შეეპყურებს მომავალს.

ამ გვარივე მოტივებით იყო გამსჭვალული მოწინავე ინტელიგენცია პატარა ფინლანდიისა თავის ნაციონალურ საქმის მოწყობაში, და შედეგათ მოჰყვა ის, რომ პაწია ქვეყანა, ცნობილი მარტო ღარიბი ბუნებით, ხალხით, ისტორიული წარსულით—ისე გამდიდრდა ქონებრივად და კულტურულ ცხოვრებით, რომ თანამედროვე განათლებული ევროპა იძულებული გახდა ჩაეწერა იგი მოწინავე ერების სიაში.

ასეთი გზა აირჩია ლატიშთა ქვეყანამ, ასეთს გზაზედ მიაქანებს ეხლანდელ შავის ცხოვრებას უკრაინის ხალხი.

მაგრამ ამ მძლავრ ეკონომიურ მოძრაობას პატარა ერებისას სუყველგან და ყოველთვის წინ უძღოდა გაშლილი დროშა ზედ წარწერილი ლოზუნგით: დაიცევით თქვენი დედა ენა, მაგრად მოჰკიდეთ ხელი სამშობლო მიწა წყალს!

სიტყვით და დაუყოვნებლივ ზედ მიუღლი მელგარი და თავ განწირული მუშაობით, საზოგადოთ, ხასიათდება მათი საუცხოვო მოძრაობა.

პატარა საქართველოც ამ გზას ვერ ასცდება და თუ ყურადღებით დააკვირდებით

ქართულ ცხოვრებას, მან კიდევ გადადგა პირველი ნაბიჯი ამ გზაზედ... მაგრამ საუბედუროდ ეს ნაბიჯი კუს ნაბიჯს მოგვაგონებს:

„რამდენი სახალხო ორგანიზაციაა მოწყობილი თქვენში,—უკითხნია ქართველისათვის ერთს ცნობილ ფინლანდიელ მოღვაწეს, დაინტერესებულს ქართული ყოფა-ცხოვრებით.—რამდენი ჟურნალ-გაზეთი გამოდის საქართველოში და რამდენი მკითხველი ჰყავს?“ და როცა შეიტყო სუსტი რიცხვი ყველა ამათი, მოკლედ მოუჭრია:—„ძალიან ჰკოჭლობთ, ძალიან. დაეჩქარეთ ეროვნულ საქმის მოწყობას და განვითარებას.. ცხოვრება არ იცდის... ზმთავრესი ყურადღება მიაქციეთ სახალხო ეკონომიურ ორგანიზაციების მოწყობას, თორემ გაითქვიფებით“... სწორედ მოგახსენოდ საქართველოსთვის ამისთანა წინასწარმეტყველობა ვერაფერი სახარბიელოა.

მაგრამ სინამდვილეს ვერ გავეჩქევით. სინამდვილე კი კარზედ გადადგია და დაჟინებით გვეუბნება: თუ არ გინდათ უცხო კაპიტალის, ცოდნის, ინიციატივის მონები გახდეთ, ფეხზედ დადგით და ენერგიულად შეიღძეთ იმ საფუძვლის ჩაყრა გამაგრებას, რომელზედაც მომავალში აღორძინდება მძლავრი და ჯანმრთელი ქართველი ერი.

ეს საფუძველი კი არის: ფართო განათლება და ეკონომიური ძალა ხალხისა შედუღებული ერთად ნაციონალურ ცხოვრების პირობებით და გრძნობებით. მიტანა ერთ ქვისა და გამაგრება ამ საფუძველზედ შეადგენს ზმთავრეს მიზანს ჟურნალ „კლდისას“ და ამიტომ ჩვენი ჟურნალი ეცდება გაუზიაროს მკითხველებს ყოველნაირი მასალა ფართო ქართულ საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრებიდან და შეაკავშიროს თანამოაზრენი და ერთგულნი მიმდინარე დიდ ეროვნულ მუშაობისათვის.

ჩვენი საქმეები

წერილი I.

დღევანდელი ქართველი საზოგადო მოღვაწე.

ვისაც თვალი გადაუვლია წარსული ჩვენი საზოგადო ცხოვრებისთვის და მის ავსა და კარგს

ღრმად ჩაჰფიქრებია, დაგვეთანხმება, რომ არასდროს არ ყოფილა ჩვენი ცხოვრება ისე დაცემული და დაქვეითებული, როგორც მიმდინარე ხანაში.

ერთი შეხედვით დღეს თითქოს საზოგადოება გამოფხიზლდა, მეტი შემეცნება შევიდა და ამოძრავდა იგი, ძალები თითქოს მეტი შეგვეძინა, ცხოვრება ჩვენი ვართულდა, მრავალგვარი მწვავე საკითხი დაგვიდგა წინ, ავი ძალები სხვა და სხვა კუთხიდან მოგვადგა და მარჯვნივ და მარცხნივ გვიხდებოდა დღეს ბრძოლა და მუშაობა, თითქოს ვიბრძვით კიდევ, თითქოს ვმუშაობთ, მაგრამ ბრძოლა ჩვენი ღონიერი ბრძოლასა ჰგავს, მუშაობა ჩვენი უნაყოფოა ჩვენთვის.

მხედველობაში თუ არ მივიღებთ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა რიცხვი ჩვენში მრავალია და მრავალფეროვანი და რომელთა წევრნი ემსახურებიან თავიანთ გეგმებს, რაც ხშირად ჩვენთვის, ქართველებსათვის, მავნე და საზარალოა, სხვა არა კეთდება რა ჩვენში და არც არავინ ჰფიქრობს გაკეთებაზე. სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი! სხვა მიმართულებას ჩვენში ადგილი არა აქვს, თითქოს ყველაზე უძლიერესი, ყველაზე მეტად კულტურულად განათლებული ერი ვიყოთ, რომელსაც შინ აღარავითარი საქმე არა ჰქონდეს გასაკეთებელი, ყველაფერი მოწყობილი ჰქონდეს და ახლა თავის მოქმედებას აფართოვებს, სხვა ერებსაც უწვდის ხელსა, რომ გვერდში ამოიყენოს.

ჩვენ შინაურ საქმეებზე არავინ ჰფიქრობს, არავის არ სცალიან მისთვის, თითქოს არ ჰქონდეს ლობნო, ეთაკილებათ ამ გვარ „წვრილმანებზედ“ ფიქრი და ზრუნვა.

ერთ-ორ ინტელიგენტს მოუკალათებია ჩვენს რამოდენიმე კულტურულ დაწესებულებაში, მაგრამ აქ მათი მოქმედება გამოიხატება მორიგ კრებებზე სიარულში, რომლებზედაც ზანტი კაცის კილოთი ილაპარაკებენ, წინადადებათ ოქმში ჩასწერენ, ზედხელს მოაწერენ და ენუქას ანდერძავით გადასცემენ შთამომავლობას.

ამ დარგში მომუშავე ინტელიგენტს სახეზე აბატია აწერია, არა სჯერა რა იმ საქმისა, რომელსაც ემსახურება. მოქმედება მისი მისთვის ტანჯვაა, რადგან ჰგრძნობს თავის უღონობას და თავი ვერ დაუნებებია, რადგან ანარცხვენიან, ან და არ უნდა საზოგადო მოღვაწის სახელი დაჰკარგოს ხალხში.

არის კიდევ ჩვენში კალმით მომუშავე ინტელიგენტი. ამათი რიცხვი ჩვენში თანდათან იზრდება,

მათთან იზრდებიან პერიოდული გამოცემანი, როგორც რუსული, ისე ქართული. რომ მკაცრად არ მოვექცეთ მათ მოქმედებას და მათი გახსენებით გამოწვეული ბოღმა გულშივე დავატრიალოთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ არც ერთი მათგანი არ არის გამომხატველი ჩვენი საზოგადო აზრისა, არ მოგვლინებია ისეთი პუბლიცისტი, რომლის სიტყვას ცოტა მიანც ჰქონდეს გავლენა მკითხველ საზოგადოებაზე, რომლის აზრი შეეთანხმებოდეს უმრავლესობის აზრს და აკავშირებდეს და ამოქმედებდეს ამ უმრავლესობას.

დღევანდელი ჩვენი პუბლიცისტი განცალკევებითა სდგას და გამღერის, მარტოკაა ის, მსმენელი არა ჰყავს, მწერალიც ის არის, მკითხველიც, განმანათლებელიც და გასანათლებელიც, დამრიგებელიც და დასარიგებელიც.

მკითხველის ყურადღებას მხოლოდ მაშინ მიიქცევენ, როდესაც, რომელიმე პიროვნებას გაჰლანძღავენ, ლაფში ამოსვრიან და მიწასთან გაასწორებენ, დანარჩენ შემთხვევებში ჰხაძავენ რუსულ გაზეთებს და აწვდიან მკითხველებს ისეთ მასალას, რომელიც ათასნაირად დაუღლეია და გადაუღლეია რუსს პუბლიცისტს.

წარსულს ჩვენს ცხოვრებაში ორიოდ საკითხი იყო წამოყენებული. საკითხები იყო უბრალო და მარტივი. უმთავრესი მათში—ეროვნული შეეცნების გამოღვიძება მასსაში, ერთის მხრით, და ტერრიტორიისა და ენის დასაცავად ბრძოლა მეორე მხრივ. მეგრძოლი ძალებიც მაშინ ცოტა გვყავდა. ბრძოლის დროში ეკირა იმ დროს თავად-აზნაურულ ინტელიგენციას, რომლის წევრთ თითებზე ჩამოსვლიდით, მაგრამ იმ დროინდელ ინტელიგენტს ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული გეგმა თავისი მოქმედებისა, მტკიცედ ადგა თავის აზრსა და მიმართულებას, გულწრფელი სიყვარულით ბრწყინავდა მისი გული და თავის მიზანს ემსახურებოდა ფანატროსის ჯიუტობით.

რწმენის რყევა, აზრების დაფანტულობა, ლობე-ყორეს მიდებ-მოდება, სულით დაცემა, სიზარმაცე არ იცოდა უწინდელმა ჩვენმა საზოგადო მოღვაწემ.

ის იყო უანგარო, გულწრფელი მუშაკი ცხოვრებისა, მედგარი მეგრძოლი მტერისა და დუშმანთან და მოყვარული, არა მოშურნე, თავის მოძმისა, რომელიც მას მხარში უდგა და მასთან ერთად ერთი გზით ვლიდა.

ასეთ მუშაობას ყოველთვის კარგი შედეგი

მოაქვს. ამ გვარი მუშაკის ყოველი ნაბიჯი შესამჩნევ კვლას სტოვებს განვლილ გზაზე და ამ გარემოებით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ მუშაკნი წინად ნაკლებად გვყავდა, მაგრამ უფრო მეტი საქმე კეთდებოდა ჩვენში, ვიდრე დღეს კეთდება.

ციხის დარაჯნი წინად ცოტანი გვყავნამაგრამ ციხე მაგრად იდგა და არცვიგნიდან ტყდებოდა იგი, არც გარედან.

ერთი მაშინდელი დარაჯი დღევანდელ ას დარაჯადა ჰღირდა; სწავლა-განათლების გზაზე მომუშავე ერთი პედაგოგი დღევანდელ ორას პედაგოგად და ხალხის კეთილდღეობის მოქირანახულე დღევანდელ სამას მოღვაწედ.

გადაავლეთ თვალი ჩვენს საქმეებს, რაც კი რამ გვაქვს კულტურული და განმანათლებელი დაწესებულება, უმცირესი გამონაკლისით ჩვენს მემკვიდრეობას შეადგენს.

გადმონაცემნი არიან, ჩვენი მამაპაპის დარსებულნი და მოწყობილნი.

დღეს არამც თუ არაფერს არ ვაარსებთ და არ ვაწყობთ, ვერ მოგვივლია იმისთვისაც კი, რაც შეუქმნია დიდის ცდითა და გაქირავებით უწინდელს ჩვენს საზოგადო მოღვაწეს.

ჩვენ დღეს ვემგზავსებით იმ უბადრუკს შვილს, რომელსაც მამამ დაუტოვა დიდის წრომითა და ენერგიით შექმნილი ქონება და რომელმაც იმის მაგივრად, რომ ეს ქონება გაედიდებინა, უკანასკნელ შემთხვევაში მხოლოდ შეენარჩუნებინა, ხელი მიჰყო მის გაფანტვას.

ადილი საქმეა დაქცევა, გატეხა დახევა, გაფანტვა, გაფლანგვა და ჩვენც იმას ჩავდივართ, რაც გვეადვილება, ამაში ჩვენ ტოლი არა გვყავს. ერთი კალმის მოსმით ვსპობთ ჩვენს მრავალტანჯულს ისტორიას; ერთის წამოყვრებით და ერთი წიხლით ვანგრგვთ საუკუნოებით აშენებულსა და მოწყობილს შენობას.

ბევრნიცა ვართ ამ გვარი „საზოგადო მოღვაწენი“. თუ აიღებთ მთელ ქვეყანაზე გაფანტულ პატარ-პატარა ერებს, როგორც ჩვენა ვართ, არა მგონია, რომ რომელიმე ერს ჰყავდეს ამდენი „საზოგადო მოღვაწე“.

კაცს ვერ ნახავთ ჩვენში, რომ საზოგადო ასპარეზზე არ გამოსულიყვეს სხვა და სხვა ამართული დროში. ის ან პოლიტიკური მეგრძოლია, რომლის იდეალი შეიქნა ამ ბოლოს დროს სახელმწიფო სათათბიროს წევრად ყოფნა, ან პუბლიცისტია, საშიშარი, მეტისმეტად გაბედული პუბლიცისტი,

ან პოეტია, მაგრამ პოეტი უბრალო კი არა, რომელიც მხოლოდ თავის ერის დიდებას შეადგენს, არამედ პოეტი რომელიც მსოფლიოს ეკუთვნის და მისგან მოელის დაფნის გვირგვინს.

პირველი სისხლსა ჰღვრის, ეწამება, რომ სპარსეთში როგორმე კონსტიტუცია გაამაგროს, მეორე სცდილობს სიტყვითა და წერით სანდვიჩევის კუნძულის მცხოვრებთა და ქართველთა შორის სოლიდარობა ჩამოაგდოს, ხოლო მესამეს თავში უტაცუნია ხელები და ქკუას ძალას ატანს შეჭმენას იმისთანა პოეტური ნაწარმოები, რომელიც გამოყვანს მისს ერს იმ ვიწრო აზრებიდან, რომელიც სჩვევია ქართველს, როგორც მაგალითად მამულის სიყვარულია და სიცოცხლის სურვილი.

ღიახ, ერთის შეხედვით, ღღეს საზოგადოება გამოფხიზლდა, მასსა შეინძრა, მეტი შემეცნება შევიდა ხალხში და ჩვენი ძალებიც გამრავლდა.

მაგრამ შემეცნებაა ეს, გამოფხიზლბა, თუ ჯერ კიდევ ბურანში ვართ და ვერ აგვირჩევია, სადა ვართ და გარს თა საგნები გვახვია?

მაგრამ ამ საგნის გამოკვლევა ჩემი წერილის მიზანს არ შეადგენს: ჩვენ გვინდა დავახასიათოთ ერთგვარი ჩიბი ქართველი ინტელიგენცისა, რომელიც შემუშავდა ჩვენში ამ ბოლო ხანაში და რომელიც განირჩევა ზემოდ მოყვანილ სამი ტიპისაგან. ამაზე შემდეგ.

მეგობარი.

იყო და არა იყორა!..

შვიდი წელიწადია რაც რუსეთში პარლამენტი არსებობს.

შვიდი წელიწადია ლაპარაკობენ, ჰყვირიან, იღანძღეაიან:

„ხალხის სახელით“.

ახალ კანონებს სწერენ:

„ხალხის საკეთილდღეოთ“.

გაძვალ-ტყავებული ხალხი კვნესით და ტანჯვით ელოდებოდა მათ სარგებლიან შედეგს.

მართლაც დიდებული შედეგი მოჰყვა პარლამენტის შვიდი წლის მუშაობას: იყო და არა იყორა!..

შვიდი წელიწადია პატარა საქართველო უგზავნის ამ პარლამენტს სოციალისტებს.

„რა განათლებული, რა მდიდარია ეს პატარა ქვეყანა!“ ამბობდა გაკვირებული ევროპა.

კაპიტალი...

ბურჟუაზია...

პროლეტარიატი...

სოციალდემოკრატია...

ეს ხომ უტყუარი ნიშანია ქვეყნის სიმდიდრისა.

აი გადახედეთ საქარ გე :

მე-XX საუკუნეში ბატონ-ყმობაში ჩამული გლახობა, ხელიდგან წასული სამშობლო მიწა-წყალი, 100 კაცზედ მარტო ხუთი წერა კითხვის მცოდნე, ლატაკი, წელ-მოწყვეტილი, ხელ-ფეხ შეკრული ქართველი ერი.

მართალიც იყვნენ კარლო ჩხეიძე და მისი ამხაგები, რომელნიც შვიდი წელიწადია პარლამენტში უმტკიცებენ მთელ ქვეყანასა, რომ საქართველოს მარტო ერთი რამ აკლია — ყოველ ოჯახში მშვენიერ ყდიანი თხზულეება კარლო მარქსისა; (ჰენრიხ IV-ის ქათმის მაგიერ).

მოტყუებული ევროპა, მოტყუებული მარქსი! მოტყუებული ქართველი მუშა, გლეხი, საწყალი ქართველი ერი!

იყო და არა იყო რა.

—:—

მაგრამ არხეინად ბრძანდებოდეთ! შეუდექით ახალს არჩევნებს, გაუგზავნეთ პარლამენტს საქართველოს ინტერესების დამცველი წარმომადგენლები... მომზადებისთვის დრო ბევრი გაქვთ...

ამბობდა ქართული პრესსა.

და მართლაც:

9 ენკენისთვის დაითხოვეს მესამე პარლამენტი, 10 ენკენისთვის დანიშნეს არჩევნები ახალ პარლამენტში!!

მოემზადეთ!

ასე და ამ რიგად

იყო და არა იყო რა.

ეკალი.

ფინაჩი „ჩიტი ბოლო“

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, მაგრამ მანც კარგი კაცი იყო სწორად „ჩიტი ბოლო“. სჯობით ფინაჩი:

სოფელ-სოფელ დადიოდა და ჩუსტებს აკერებდა. აბა ძველი ჩუსტი რა არი, ან იმის დაკერება, რა შემოსავალი უნდა ჰქონოდა ჩიტი ბოლოს! საცოდ ვა იყო და საცოდაობისგან გაძენსებული. ანადრთს სწავისადაც კი არა ვიდულობდა და თუ როდისმე ჩაუვარდებოდა ხელში ან მოხარვით, ან ჩუქებით, ან ხელბით — უკვგელად შუა-შუა დასჭრიდა სივრცეზე, რომ ერთსაგან ორი გამოეყვანა და ორჯელ გაკერა. ეს ძნელად ხერხდება, ზოგი სულაც ემტერებოდა, ზოგი გაიკვრებოდა, მაგრამ ალს არ გამოიღებდა, ზოგს თავი ეფშვებოდა, მაგრამ ჩიტი ბოლო გულს არ იტუნავდა და თუნდაც ჩუქმედ უჩუმესი დარი უფთელიყო, ისეთ ყუდროში მიჰდებოდა, ისე წაუფარებოდა, რომ არა სდამებოდა კიდევ სწავის, — უნდა ანთებულყო.

როცა შინიდან მიდიოდა, ყოველთვის ჰურებს გადასინჯავდა, თითო-თითოდ ხელში ასწინიდა (თუ რამდენიმე ჰქონდა — იშვიათად), რომ ცოლშვილს უიმისოდ არ შეეკამა; თუმცა მთელ ჰურს რომ რამე მოჰკვებოდა უწონავდაც შეეტოვებოდა, მაგრამ ამას „ფასონის“ გულისათვის აკეთებდა, რომ ეჩვენებინა ოჯახისათვის თავისი წადილი.

ფინაჩის მეტი ღანძრაკი არ უყვარდა და როცა ბაზარში წავიდოდა, ბევრჯელ საათობით განუშებული იდგა ღუქნის წინ, ან შიგან, და უერს უტედა ვინ რას და რა ფასად ვიდულობდა, რომ ვაჭრებს არ მოეტყუებინათ, ვინცობა თითონაც დასჭირებოდა რისიმე ვიდგა. თუ იყიდა როდისმე ხორცს — მარტო ჯიგარს, — „იაფსა და მადარსა“. აკერ ტაბო ერთ უსაბთან რომ შიშ-კნახს ძაღლებისათვის უნდა ჯიგარი და უსაბი აბახს სთხვის ცხვრის ჯიგარში. ეს ეძვირება ჩიტი ბოლოს. მიდის შერკისთან და იქ სამი საათის ცდის შემდეგ გაიკებს, რომ გაქვას სიმ შურად აძლევენ თხის ჯიგარს. ჩიტი ბოლო თითქო არაფერს იმტნეკს, — მიდის შესამესთან და იქ ევაჭრება, რომ ორშურად მისცენ. უსაბი არ აძლევენ და დიდი ვაჭრობის შემდეგ, ყოველი კაპიკის გამო ათას ტანჯავა ვაყბას გამოვლილი, 14 კაპიკად შეიპირებს. მიგრამ არ ტეტხთათ, რომ მამიფე იყიდის: აბა რად უნდა 14 კაპიკის ვეებურთელა ჯიგარი, „რომელიც ორ ოჯახს გააძღობს“, ფიქრობს ჩიტი ბოლო. დაბრუნდება სახლში, უამბობს ცოლსა და სიმ ნაფიქრად და ოჯახური თათბირის შემდეგ მიდის ვანუსთან, მასავით საცოდავ მენახირესთან: „ვანო, ერ-

თი კარგი ჯიგარი შევიტყუე და, თუ ცინდა, სანახევროდ ვიყიდოთ“.

ვანუმ კარვად იცის, რომ ჩიტი ბოლო არ მოსტყუვდება და მახედ იაფად იყიდის ჯიგარს; — ეს არც ისე ხშირად ხდება — წელიწადში ხუთჯერ ექვსჯერ — დიდ უქმეებში, და რატომ არ გამოიღოს 7 კაპიკი? თუცა ფინაჩი არწმუნებს, რომ მენახირე უფრო მდიდარია და 8 კაპიკი უნდა მისცეს. ჩიტი ბოლო მეტს დაუფასებდა, მაგრამ კარვად იცის, რომ ვანუც თან გაჰყვება. ვანო ურწმუნოა და მიდინ ორთავენი ჯიგარის სანახევად.

— მე წინ წავალ და ჩავახველებ; როცა მიუახლოვდები, შენც გასინჯე, შეევაჭრე, იქნება დაგიკლოს რამე.

ვანუც, მითომ აქ არაფერია და არაფერი იცის — ევაჭრება; მაგრამ ვეელა უსაბებმა კარვად იციან ჩიტი ბოლოს ოინები, მისი სიძუნწე და ვანუს უფრო ძვირად უფასებენ.

„ის ჩემზედ ჭკვიანია“, გაიფიქრებს ხოლმე ვანუს და დაეწევა სადმე შორს დამალულს ფინაჩის: „გატო, 16 კაპიკზე ნაკლებ არ იძლევა“; ფინაჩის უხარია და გრძობის, რომ ვანუს თვალში მეტი მნიშვნელობა ეძლევა მის ნიჭს და გადამებული მოჭიდიებს ხელს: „წამო, აბა ვნახოთ, თუ არ მომცემს“.

უასაბს კიდევ დაეჩინება ორჯელ სამჯერ და ბოლოს მანც ჩაუთფლის 14 კაპიკს უღმობელს ადამიანს. ამასთან თითო გრამს ისე უსვამი თათებს, როგორც ქადაღდის ფულს სინჯავენ ხოლმე, რომ მეტი არ გადაიულო, თუმცა კარვად იცის, რომ შინიდან მეტი არ წამოუღია და არც ჰქონდა, რომ წამოეღო. გზასზედ სულ იმას ფიქრობს ჩიტი ბოლო, თუ როგორ მოახერხოს და ნახევარზედ ცოტა ნაკლები მისცეს ვანუს. ათასი ფიქრი გაურბენს, ათას ხრიკს მოიგონებს, მაგრამ კარვად აქვს შესწავლილი ვანუს ხსიათა, იცის რომ არაფერს დაუთმობს და ამიტომ უგანასკნელს ხერხს მიმართავს: გზაშივე ფრხხილით მოაციტქის ხოლმე ცოტადენს და ჩუმად ქამრის უკან ჩაიდებს. შინ, ვანუ ყოველთვის შენიშნავს ასეთ ნაკლს ციკნის ჯიგარისას, მაგრამ ჩიტი ბოლო არწმუნებს, — „ბევრი მარილის ჭამისაგან გასცვეთია“. ვანოს არა სჯერა მარილისაგან ჯიგარის გაცვეთა, მაგრამ მანც ღანძრავს ციკნის ჰატონს მარილის ჭმევისათვის.

ახლა უნდა ნახოთ როგორ იყოფენ, როგორის მოწიწებით, გალესილი დანით როგორ მისხალ-მისხალ სწორეთ უნდა გასჭრას ჩიტი ბოლომ ეს ჯიგარი. მართალია იცის, რომ ვანუს ორთავ ოვალი ჩარჭობილი აქვს ჯიგარში და დანას აქეთ-იქით არ გადააწვიანებს, მაგ-

რამ მაინც იმდენს ეტყობა, იმდენს, რომ ქაღალდის სის-
ქე ნატურს მაინც თავისაკენ გადასწევს.

შინ ერთი ქათამი ჰქვას ფინახის, რომელიც კვერ-
ცხსა სდებს. ამ ქათამს თავის დღეში არ უნახავს გე-
მთით არც სიმინდი, არც ნაკმაზი და, მგონი, იმის
წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, რომ ქვეყანასდ ხორბა-
ლიც არის. თუ რასმე სწამდა, ისევე გახმარი შავი ჰუ-
რის ნამცეცხებს, უცაბუდად ჩამოვარდნილს, ქუხაში გაჰქე-
ჩავდა ნუხუსა და უმეტესად კი რაღაც ჭიებს ზოულობ-
და, ქვიშასა და ნაკავს ჰქვენავდა. აი ამ ტანჯულ ქათ-
მის კვერცხი დიდ შედევას აძლევდა ჩიტი ბოლოს
ოჯახს: ხან ორ შვილს გაუყოფდა, შემწვარს მესობდის
ნაცარში, ხან თვითონ დედა შესწამდა, ხან ჰყიდდნენ.

— ეი, დათიკო (ეს ნამდვილი სახელი იყო ფინა-
ხისა და შუტი სახელი—ჩიტი ბოლო — ძალიანა სწეინდა),
დათიკო, კვერცხი ხომ არა გაქვს გასაყიდი?

სწორედ დღეს ქათამმა ძალიან დიდი კვერცხი და-
ლა და ფინახი დარწმუნებული იყო, რომ ორგულა უნ-
და უოფილიყო.

ცოლმა გადაიტლია-გადმოატრიალა, რაღაც ხაზი
შენიშნა შუასედა და დაემოწმა, რომ ორგულაა.

— როგორ არა მაქვს, ორიცა მაქვს.

— აბა ერთი გამოატანე.

ჩიტი ბოლოს გამოაქვს ერთი კვერცხი.

— მეორე?

— კაცო, ვერა ხედავ, ორგულაა ამოდენა კვერცხს
ვინ მოტეგებს ერთის ფასად?

— კარგი ერთი ხუ მასხარაობ და!

მაგრამ ჩიტი ბოლო თავისაზედ დტა და არა ჰქე-
დის ორგულა კვერცხს ერთ კვერცხად.

საღამოზედ, როცა ძალიან მოშვიდა უველას, გაბე-
დეს ამ კვერცხის შეწვა, თუმცა ჩიტი ბოლო სულ იმას
გაიძახებდა, რომ ხვალ კიდევ გამოჩნდება შეადგევი და
ხვალინდელ კვერცხთან ერთად სამ კვერცხს შურად ტა-
ვიდითო.

მაინც შეწვის ცოლის რჩევით. ფინახიმ ხელეობი
დაიბანა, ამ ნაბანით კვერცხი დასველა და მესობდის
ნაცარში ჩაიფლა.

— რა არი, ადამიანო, ე წულის სიძუნწე რაღაა,
მაგაშიაღ ხომ იფულს არ აძლევ?

— იფულს რომ არ ვაძლევ, მოტანა არ უნდა, სი-
არულში ჩუსტი არ გიცნობათ?

— ჩუსტი, მეხი კი დატეცა, ოქრომკედიანი არ გამო-
ცვდეს.

ამასობაში კვერცხიც შეიწვა და ვახშმად დასხდნენ;
დაითაღეს ჰურები და უველას მოლოდინი ჰქონდა ნახე-
ვარ კვერცხისა.

ჩიტი ბოლო იმასაც კი ფიქრობდა, რომ თვითონ
მთელ გულს აცდებს და მეორე გული ცოლმა და ორ-
მა შვილმა გაიფოსო. მაგრამ, საუბედუროდ, როცა თავი
გაუტეხეს კვერცხს, ერთი გულის შუტა არ აღმოაჩნდა.

— ფუი, შუგარცხვინის დმერთმა! სთქვა ფინახიმ
და გაჯავრებულმა აღარც კვერცხი ჭამა, აღარც ჰური,
ცოლშვილის სასიხარულოდ

როცა სხვა სოფელში მიდიოდა, ჩუსტები ხელით
მიჰქონდა ხომა და ჩუარშიაღ ახვევდა; მსე გამოიფუტესო.
მარტო სოფელში ჩაიცვამდა და ფროხილად ადგამდა
იფესა; უფრო კი სრდილობდა მალე დამჯადარიო სადმე
და თუ ვისმე ჰქონდა რამე დასაკერებელი მასთან მოე-
ტანათ. ეოველი საკერებელი მთელი ტრაკედია იყო მის-
თვის და ბევრჯელ მთელ საათს ატრიალებდა ძკელ
ჯდანს და ფიქრობდა როგორ მოიქცეს, რომ ნაკლები
ძაფი და ტუაფი დაეხარჯნა. თანაც გულს იმშვიდებდა და
მოუთმენელ მუშტარს ეუბნებოდა: „ათჯერ გაზომე და
ერთხელ მოსტერო“.

ეოველთვის ჩუმი და ენის ძხელად მომტრიალე-
ბელი, ვაჭრობის დროს მჭერმეტყველებასაც კი გამოი-
ჩენდა ხოლმე და იმდენს აქებდა თავის საქმეს, იმდენს
ეჩინებოდა, რომ გაბესრებული გლეხის დედაცნები
ბევრჯელ თავში მიახლიდნენ ხოლმე შუტ კაპეიკს, ახ
ორიოდე მუჭა ქერს, ლობიოს და სხვა...

მაშ რითი ეცხფერნა საცოდავ ჩიტი ბოლოს, თუ
არ ამისთანა სიძუნწით? თუ არ ამნაირი გაჭირვებით,
როგორ გამოეკლიჯა მისთვის გაძვირებულ ბედისაგან
წლის სარჩო? და აკი კიდევ მიადწია იმ ბედნიერებას,
რომ 1 თუშანი შეაგროვა და სახლის შესწორება გა-
ნიზრახა.

მართალია იმის სახელს სახურავი არ ესურა, მაგ-
რამ ბანი ჯერ კიდევ მაგარი ჰქონდა. თუმცა უნდა გა-
მოკსტედეთ, ბანიც მარტო იმ ადგილს ევარა, საცა
ტანტი იღვა და თითონ იფუნენ, თორემ იმ კუთხეში
საცა ქათამი იბულებდა, დიდისანია ჩამოწოლილიყო
კოჭი და წვიმა,—მტვერი ჩამოდიოდა. ზამთარში ხომ
იქიდგან მოჰქროდა ვეშაზზედ გადამჯადარი უველანიარი
ავადმყოფობა, სიცოცხე და თოვლი.

ჩიტი ბოლომ იყოდა ერთი ხე, ცოტა კირი, მო-
ზიდა ცოტ-ცოტა ქვა და ქვიშა რიეიდგან და ახლა
უნდა „ხურო“ მოეყვანა სახლის „სასქენებლად“. რამ-
დენი კაციც მოიყვანა, დაათვალიერებინა, აუხსნა რა
უნდოდ.—არაფინ ექვს მანეთზედ ხაკლებს არა სჯერ-
დებოდა.

— კაცო, კედელი უნდა ამოშენდეს, ეს ამოდენა
ხე ს მ.დ გაიჭრას, შენ მარტო ამის ღრის ფასი
სთქვი; ახლა მიწა აიზიდოს ბ.ნსედ, ხუმრობა ხომ არ
არის.

— კაცო, სულ ორ დღეს არ მოუწიებო და ექვსი მნათი რაში უნდა მოგცე?

ბევრა სხვაგ მოიყვანა, მეზობლებსაც სთხოვა შველა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს ერთს შეურიგდა ხუთადა და ექვს შაურად იმ ზირობით, რომ თითონ უშველიდა ხერხის გაწევასაც და ქვის ატანასაც.

როცა მოვიდა ოსტატი, ჩიტი ბოლომ მოუტანა რაღაც ძველი ქაღალდი, საწერ-კალამი ნასესხები და უთხრა: უნდა ზირობის წერილი დავწეროთ, თორემ შენ იქნება მერე მიშაროვო.

ოსტატმა მასხარად აიგლა:

— შე ტინგლიანო, შენი ხუთი მანეთი რა გგონია, რომ მაგასევე ხელწერილებიც დავწერო, ოც თუმნაინი საქმეები გამოკეთებია—ინრუა მოსემ, და წერილი არავისთვის არ დავწერია.

— ხუთი მანეთით? განა სუთმანეთად აკეთებ, გაეხარდა ფინ.ჩის, იფიქრა: ღბ.დ დავიწედა ის ექვსი შაურიო.

— მა რა, ხუთი არ არის, ექვსი შაური რა საანგარიშებელია?

— არა, მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკიავა.

— წადი ერთი და, თუ არ გინდა, ძმაო, მე ჩემი გზა კარგად ვიცი.

აქ კი შეერთა ჩიტი ბოლო. ვაი თუ ეს მეშვიდე ოსტატინ წაგიდეს, შერცხვა კიდევ და...

— ხო კარგი, კარგი, რა გეწეინა, მე ხომ ძალას არ გატან, ასე მეგონა უფრო მაგ რი ზირობა იქნება მეტო.

იმ დღეს კინაღამ ხერხი გაუტუნა ოსტატს, რადგან გაწევა არ იცოდა და ხეც ბრუნდეთ გაიჭრა. ქვა და ქვიშას ვერ ახერხებდა—კარგად მიეწოდებინა, მაგრამ ბოლოს მაინც აშენდა საცლადავი კედელი, საცლადავი კოჭებიც დაიდო თავის ალაკას და მიწაც საბრალოდ დაეუარა ზედა.

მართალია, ხუთ მანეთს რომ აძლევდა მოსეს, თითები ზედ ეგროდა და, მგონი, ტყავიც კი ასძვრა, მაგრამ ძალიან ამაუბელა სახლის აშენებით და ისე უხარდა, რომ ვახშმად მთელი ჯივარი საკუთრ.დ ივიდა და ვანუად დ იბ ტიუა, რაც მთელ მის სიცოცხლეში არავის არც გაეგონა და არც სიხრამად ენახა. მთელი უბანი ამასევე დაზარავდა და ჰყვირობდა. ეველას კარგად ახსოვდა, როგორ ბავშობიდანვე ძუნწი და საცლადავი იყო ჩიტი ბოლო და არა სწვროდათ ასეთი სასწიული. თვით მეტი სახელიც ხომ იმიტომ ერქვა, რომ ბიჭობაში ასწავლეს: ჩიტის დაჭერა თუ გინდა, ბოლოზედ მარილი უნდა მთაუაროვო და ნაშოგნი მარილი არ გაიმეტა ამისათვის,—მარილს შეე-

ჭმ და ჩიტს კი ქვიშას დავაუწიო. როცა ასე გაბრიყვებულმა დათვიმ ვერ დაიჭირა ჩიტი, ეველამ მსხარად აიგლა და დაარქვეს „ჩიტი ბოლო“. ის კი დარწმუნებული დარჩა, რომ ჩიტი მარტო იმიტომ ვერ დაიჭირა, რომ მარილის მაგიერ ქვიშის მოურა უნდადა. ეველას კარგად ახსოვდა, როგორ კოჭების თამაშობაშიც კი მარტო ის იყო ხოლმე უნუჭოდა*) და უკვირდათ მისი. მაგრამ უფრო გასაკვირველი საქმე მაშინ მოხდა, როცა დაიწეეს უბნის ხეცზედ ხიდის გაკეთება. ჩიტი ბოლო სულ გამოიცვალა, მთელი ორი აბაზი და სამი კაპიკი მისცა ამშენებელთ ფულად, ახლა ოციოდე ქვა, გადარჩენილი სახლს და ხის ნაჭერიც. თვითონაც, ეოველთვის ზარმანი, დობლად, მოუხეშავი, ესლა ისე მრად შველოდა შუშებს, რომ მთელი უბნის ქალი და ვაჟი შეჭურებდა, და მისი ხ ღისით თვითონაც ხელს უწყობდნენ ხიდის ამოყვანას. ვერავის ვერ გაეგო მიზეზი ასეთის ცვლილებისა; ჩიტი ბოლო სულ იცინოდა, მასხარაობდა, აქეხებდა შუშებს და თითქმის მეთაურობდა.

ნამდვილი მისი გულის ზასუხი კი ის იყო, რომ ხევი ძალიან ღრმა, ბნელი იყო და ეოველთვის, იქ გაფლისას, შიშით გული ეკუმშებოდა, ელანდებოდნენ მღვეები, ეშმაკები, თმა ელუხედ უდგებოდა.

ეოველთვის სცდილობდა თვალნათლივ დაბრუნებას სახლში, მაგრამ დღისითაც სულ გამოურკვეველ შიმსა გრძნობდა ამ ადგილას. ხიდის აშენების ამბავი რომ გაიგო, მაშინვე სიხარულით გული აუტოკდა და აი მოესწრო კიდევაც. ხიდზე ესლა თამამად გივლის, მაღალ ხიდზე, და აღარავინ მოეჩვენება. „ზედ შეა გულზედ ვივლი, და რაღას შემეძისება“ ფიქრობდა ფინ ჩი, და თან ვეებურთელა ქვას აწვდიდა კალტოხს, რომელსაც ამოეეგნა კიდევ ერთი ბურჯი. ის იყო ქვა უნდა გამოერთშია მუშას ჩიტი ბოლოსათვის, რომ უკნასვლეს ფეხი გაუსხლტა და ძირს ტყავანი მიიღო.

ხელსი მეგროვდა, ზოგმა წყალი შეასხა, ზოგმა თითზე უკბინა, მაგრამ გონს ვერ მოიყვანეს. სადამოზედ და გამოერკვა მ.რტო და ატირებულ ცოლშვილს უთხრა: „რა მწფოდა, რა ჩემი საქმე იყო უხვობა და ბედოვლათობა... მამა ჩემი რომ ხარაზი იყო მე კალტოხობა რა მწფოდაო. ახია ჩემზედ... ახია“... კიდევ თვალები დახუჭა და რომ გაახილა, უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვა: „მ.რთა, მართა... ვკვდები,

*) კოჭის თამაშობის დროს ვინც ყველაფერს წააგებს, იმას ასესხებენ ხოლმე ერთ-ორ კოჭს რომ კიდევ ითამაშოს და გული არ დასწყდეს.—ამ სისხს ჰქვია ჩური.

წელი მტკივნა, წელი, რაღაც ჩაწვევტილი მაქვს...
 ხო, ხო... იქა—თითქო ესღაც, სიკვდილის დროს, ეში-
 ნოდა ეთქვა თავისი საიდუმლო...—იქა, ბუხართან
 რამ აგურია...”

— რა არი, რა? მივარდა სიტყვადვი ცოლი,
 მაგრამ ჩიტი ბოლომ სული განუტევე...”

საღსში ხმა გ ვრცელდა, რამ ჩიტი ბოლოს დი-
 დი სიმღიდრე დარჩა ბუხართან, აგურის უკან, მაგრამ
 ვერავის მიუგნიაო...”

ლამურა.

(ხ. ვაშაძე)



პეტრე ბაგრატიონი.

(1765—1812).

წელს, ზაფხულის მიწურულეებში, 26 მარია-
 მობისთვეს, დიდის ამბით და ზეიმიით იღვრსასწაუ-
 ლა რუსეთის ერმა და მთავრობამ ს. ბოროდინო-
 სთან გადახდილ ომის ასისთავის იუბილეი. დიდ-
 მა და პატარამ სიყვარულით მოიგონა იმ გმირთა
 სახელები, ვინც თავი თავისი და სიცოცხლე არ
 დაზოგა და სამშობლოს მტლედ და მსხვერპლად
 და ზვარაკად შესწირა. მადლობით აღსაფხვე სამშო-
 ბლომ გულწრფელი სალამი უძღვნა მისთვის თავ-
 დადებულ გმირთა სახელსა და ხსოვნას და ქება-
 დიდებით შეამკო, ხოლო მათი წმინდა საფლავნი
 მორთო ყვავილითა და გვირგვინებით.

1812 წლის სამშობლო ომის გმირთა შორის
 ერთის სახე მოსჩანს მეტის-მეტად ნათლად იკი
 ანათებს და ბრწყინავს ობოლ ვარსკვლავ ავით.
 მზერა და ყურება ამ საოცარის გმირთა გმირისა
 გულს გიჩქროლებს, ჟრუანტელსა გგვრის და ივ-
 სები იმ წმინდა და მაკოცხლებელ იმედით,

ურომლისოდაც სიცოცხლე ფუქა და ამოებათა
 ამოება. აღძრული ამ წმინდა და მაკოცხლებელი
 იმედით ის ფუქტი და აზრია, რომელიც მხნედ და
 მაგრად, ვითარცა სალი კლდე, გიკარნახებს: სა-
 ქართველო არ მომკვდარა, ან რა მოჰკლავს ოდეს
 მას შესძლებია აჩუქოს ქვეყანას ისეთი შვილი,
 როგორცაა პეტრე ბაგრატიონი, ეს ობოლი მარ-
 გალიტი რუსის მხედრობისა, ეს შეუღარებელი და
 გენიოსი მხედართ-მთავარი და საუდალი. თუ კი
 ჩვენს პატარა ქვეყანას ძალუძს დაჰხადოს ნაპო-
 ლეონის დარი სამხედრო გმირი, თუ კი მას შეუ-
 ძლიან ჰშობოს შექსპირის სწორი პოეტი შოთა
 რუსთაველი, მაშ ცხადია, რომ ბაასი გადაშენება-
 ზე ნაცარქექიათა და მონათა მზაკვართა ჩხირკედე-
 ლაობაა. ხოლო არას დროს არ უნდა გვაფიწყდ-
 ბოდეს, რომ მარტო შრომა და გარჯილობა და
 არა ლაყლაყი, ტრახახი და უაზრო თავის ქება
 გაგვხდის ღირსად პეტრე ბაგრატიონის და შოთა
 რუსთაველის სახელისა.

ქართველი მკითხველი სადღეისო ჟურნალ-
 გაზეთებისა და საიუბილეო ლიტერატურისა, რო-
 მელიც არაა ჩახედული ისტორიის წილსა შინა,
 აღბად გაოცებით ისმენდა პეტრე ბაგრატიონის
 ქებათა-ქებას და ჰფიქრობდა, თუ საიდან მოველი-
 ნა რუსეთს ერთს საუკეთესო სარდლად ქართვე-
 ლი კაცი, შთამომავალი ბაგრატიონთ გვარისა,
 რომელმაც სულ რაღაც ათი-თერთმეტის წლ-ს წი-
 ნად დაჰკარგა მეფობა და ტახტი საქართველოსი.
 ამ კანონიერის ცნობის მოყვარეობის დასაკმაყო-
 ფილებლად ვაღიგებულნი ვართ მივიქცეთ უკან და
 გაკვრით თვალი მოვაფლოთ მეფერამეტე საუკუ-
 ნის ისტორიას როგორც ევროპისას, აგრედვე სა-
 ქართველოსას. მაშინ გამოჩნდება თუ როგორ და
 საიდან გაჩნდა ბოროდინოს ველ-მინდორზე ქარ-
 თველი ბატონიშვილი პეტრე ბაგრატიონი.

I

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულეებში დასა-
 ვლეთ ევროპას მოველინა საოცარი კაცი, რო-
 მელმაც სამხედრო ნიჭით და გენიოსობით მრავ-
 ლის მნახველი და მსმენელი ევროპა ჯერ გააოცა
 და შემდეგ შეაძრწუნა. სახელი და დიდება კორ-
 სიკანელ გმირისა საარაკო სისწრაფით იზრდებო-
 და, და რაც ხანი და დრო-ყამი მიდიოდა, ერთი
 ათად და ასად ზვიადდებოდა ამ საკვირველის კა-
 ცის სახელი. თითქოს ისტორია მეორდებოდა, ყვე-

ლას პარზე ამ ახლად მოვლენილ ალექსანდრე მაკედონელის სახელი ეკერა.

ნაპოლეონ ბონაპარტე, საფრანგეთის მხედრობის აფიცერი, ლეიტენანტი არტილერიისა, დიდი შვილია საფრანგეთის დიდის რევოლუციისა. ამან დაჰბადა იგი, გამოზარდა, ძუძუ აწოვა და დააფუკავა. შემდეგ, როცა იგი უკვე იმპერატორი შეიქმნა საფრანგეთისა და ევროპას, ინგლისის გარდა, თვის ნება-სურვილით ბურთივით ათამაშებდა, მაშინაც ვერ დაივიწყა თვის რევოლუციონური ზნე-ჩვეულობანი და ევროპის მონარქთა ქადრაკებსავით უცვლიდა ბინას. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ნაპოლეონი უკვე სათავეში მოექცა საფრანგეთს და მისის ბედ-აღბლის გამგებლად გარდაიქცა.

საფრანგეთის ერი ცნობილია სიფიცხით, პატივისა და თავმოყვარეობით, ვეღარ აიტანა ძველი, დახვეწებული რეჟიმი და ძირს დაანარცხა იგი. იაფად არ დაუჯდა ერს ბრძოლა ძველს წესწყობილებასთან, დიდძალი სისხლი დაიღვარა და ბევრმა საუკეთესო მამულიშვილმა შესწირა სიცოცხლე რესპუბლიკის დამკვიდრებას და მის განმტკიცებას. ბრძოლა ისე ცხარე და მწვავე იყო, რომ სიცოცხლეს კი აღარ აჩუქა თავიანთ მეფე-დედოფალს ლიუდოვიკ მე-XVI-ს და მარიამ ანტუანეტას და ორივეს თავი მოჰკვეთეს. აი სწორედ ეს საფრანგეთი ისე მოხიბლა კორსიკანელ გმირის სახელმა, რომ ბავშურად მოიდრიკა თავი ნაპოლეონის წინაშე და მოწიწებით შესთავაზა მეფობა და ტახტი ლიუდოვიკ მე-XVI-ისა, რომელიც მეფობდა „განგებთა ღვთისათა“ და რომელსაც სულ რამდენიმე წლის წინად თავი მოჰკვეთა. ასე რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ევროპას შეემატა ახალი მონარქია—იმპერია საფრანგეთისა და ახალცივე იმპერატორი ნაპოლეონი.

ევროპის მონარქნი მტრულად უცქეროდნენ საფრანგეთის ჯერ კიდევ მოუმაგრებელ და ფეხმოუკიდებელ რესპუბლიკას. არ მოსწონდათ თავხედობა მისი და უპატივცემულობა, რომლითაც მოეპყრა სამეფო სახლს. ქუის სასწავლებლად ევროპის მონარქებმა შეჰკარეს კავშირი და შეესივნენ საფრანგეთს აღმოსავლეთის სამზღვრებიდან. ასეთის უმიზეზო შესევით და შინაურ საქმეებში ჩარევით ახალგაზრდა რესპუბლიკას საბუთი მისცეს ხმაღზე ხელი ეკრა და გათამამებულ მტრისათვის საკადრისი პასუხი გაეცა. აი აქედან დაი-

წყო სწორედ რომ საარაკო ბრძოლა საფრანგეთის რესპუბლიკისა თითქმის მთელს ევროპასთან. რესპუბლიკის ჯარს სარდლობდა ნაპოლეონი, პირველად როგორც უბრალო გენერალი და შემდეგ როგორც იმპერატორი.

საფრანგეთთან ბრძოლაში ჩაითრიეს ევროპის სახელმწიფოთ რუსეთის იმპერატორიც პავლე I, რომელმაც გაჰზახუნა ძლიერი მხედრობა ავსტრიისა, შვეიცარიისა და იტალიაში შესანიშნავ სარდლის სუვოროვის უფროსობით „უღეთო“ ნაპოლეონთან საბრძოლველად. სუვოროვს თან ახლდა ახალგაზრდა გენერალი, ჩვენი თანამემამულე, პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი, რომლის გმირობამამაცობამ, საოცარმა სამხედრო ნიჭმა და სამხედრო სარისტიანობამ საზოგადო ყურადღება დაიმასხურა ნაპოლეონის გაწვრთნილ ჯარებთან უთვალავ ომებში.

მოკავშირე ავსტრიელების უხეირობამ დიდად გააბრაზა უხასიათო იმპერატორი პავლე და უბრძნა სარდალს სუვოროვს დაბრუნებულიყო სამშობლოში. კიდევ რომ დარჩენილიყო ბრძოლის ველზე, რუსის მხედრობა ვერას დააკლებდა ნაპოლეონს და მის მხედრობას, რადგან მოწყვეტილი იყო სამშობლო ნიადაგს. თვით დიდი სამხედრო ნიჭი სუვოროვისა და პეტრე ბაგრატიონისა უნაყოფოდ ჩაივლიდა ასეთს უხეირო გარემოებასა და პირობებში.

მე-XIX-ე საუკუნის პირველ ათს წელიწადს თითქმის მთელი ევროპა დაუშორჩილა ნაპოლეონმა საფრანგეთს. ეს საოცარი მხედარი ჩინხვარსავით ამსხვრევდა ძველის-ძველთა მონარქიებს და ზოგან რესპუბლიკას აწესებდა, ზოგან, ძველის მაგიერ ახალს დინასტიას აღგენდა. ნაპოლეონის წინაშე ქედს არ იხრიდა მარტოოდენ კუნძულოვანი ინგლისი. ბევრს ეცადა ნაპოლეონი როგორმე მისდგომოდა ინგლისს და მაგრად ჩაეცხო თავში, მაგრამ ვერას ვახდა, რადგან მაშინდელ საფრანგეთს ფლოტი არა ჰქონდა და აბა უგემ-ზომალდოთ როგორ მიუდგები კუნძულზე მოკალათებულ მტერს. რაკი ამ გზით ვერას ხდებოდა, ნაპოლეონმა მოიკონა ინგლისის დასაღლუბად ეგრედ წოდებული „კონტინენტალური“ სისტემა, ანუ ეხლანდებურად რომ ვსთქვათ ბოიკოტი. ამ სისტემის მიხედვით ევროპას ხელი უნდა აეღო ინგლისთან ყოველგვარ ურთიერთობაზე, შეეწყვიტა მასთან ვაჭრობა, ერთის სიტყვით ხელი აეღო მეზობლობაზე.

მაშინდელი ინგლისი პირველი ვაჭარი იყო მთელს დუნიაზე. ამას გარდა იგი იყო პირველი ბანკირი ძველსა და ახალს ქვეყანაში და აგრედვე პირველი მრეწველი. ინგლისის ურიცხვი გემ-ხომალდნი უშიშრად დასცურავდნენ ევროპისა, ამერიკის, აფრიკისა, აზიის და ავსტრალიის ზღვაოკეანეზე. მისი ვაჭრობა-მრეწველობა და ფინანსური აპერაციები აპურებდა ევროპას და თვითონაც ხომ დიდად ხეირობდა. ინგლისი მდიდრდებოდა და ივსებოდა დოვლათით. მოცილე და მოქიშვე ინგლისს არა ჰყავდა და მაშინდელს ინგლისს სწორედ რომ შეეფერებოდა ზღვათა და ოკეანეთა დედოფლის სახელი.

ნაპოლეონის მიერ მოგონილ კონტინენტალურ სისტემას რომ გაეპარჯვნა საბოლოოდ, ინგლისს კეთილდღეობა დაიღუპებოდა და გავრანდებოდა სამავალითო ქვეყანა, — სამშობლო პოლიტიკურ აღზრდისა, თავისუფლებისა და საკვირველის თვითმართველობისა. მაშ ნულარ გაგიკვირდებათ, თუ ინგლისი მოსისხლე მტრად გაუხდა ნაპოლეონს და სულ იმის ცდაში იყო, რომ ფრთები მოეკვეცნა და ბოლო მოეტრუსნა „კორსიკანელ მეთიჩრისთვს“.

ევროპის სახელმწიფოებმა, რომელთაც ქედი მოიხარეს ნაპოლეონის წინაშე, ვერ გაუბედეს უარი და მიიღეს კონტინენტალური სისტემა. მარტო რუსეთი იყო ცუდს გუნებაზე, დიდ ხანს იღვა უარზე და ნაპოლეონს სურვილს არ უსრულებდა. ურთიერთობის მოსპობა ინგლისთან და შეწყვეტა ვაჭრობისა ყელის გამოქრა იყო მაშინდელის რუსეთისთვის. მთელი ავლადიდება რუსეთისა: ხორბალი, ხეტყე, ქონი, ტყავი, ბეწვი, სელი და სხვა შეუშუშავებელი საქონელი მარტო ინგლისში მიდიოდა და იქიდან კიდევ რუსეთში შემოდოდა ინგლისისავე გემ-ხომალდებით საჭირო საქონელი. ასეთს პარობებში მეზობლობის შეწყვეტა ინგლისთან ნიშნავდა რუსეთის სისხლიდან დაცლას და ყელის გამოქრას. იმპერატორი ალექსანდრე I კარგა ხანს იმაგრებდა თავს და უარს ეუბნებოდა ნაპოლეონს, მაგრამ ბოლოს, ტილზიტის ზავის შემდეგ, მაინც მიიღო ეს დამღუპველი სისტემა. შედეგი ამ სისტემის მიღებისა ისეთი სასტიკი აღმოჩნდა რუსეთისთვის, რომ ალექსანდრე იძულებული გახდა უარი ეთქვა კონტინენტალურ სისტემის მომხრეობაზე და ასეთის უარით უზომოდ გააბრაზა ნაპოლეონი.

აი ამ უარიდან დაიბადა წარუხოცელი მტრო-

ბა ნაპოლეონსა და ალექსანდრეს შორის. თავმოყვარე ნაპოლეონი, გალადებული ევროპის მორილებით, ვერ იტანდა რუსის ხელმწიფის ურჩობასა და გადასწყვიტა, თუ ნება-ყოფლობით არა, ძალით მიგადებინებ ჩემს სისტემასო. ალექსანდრეც კარგად ხედავდა, რომ ღრუბლები იკრიბებოდა ცაზე, რომ უომრად საქმე არ გათავდებოდა და ქეკა-ქუხილის მოლოდინში სამხედრო სამზადისს შეუდგა. ან მე, ან იგიო, ხოლო ორნივე ერთად ვერ ვიმეფებთ ევროპაშიო, ამბობდა ალექსანდრე კუროხეული.

ასე იკვანძებოდა საფუძველი და მიზეზი იმ დიდის საისტორიო ომისა, რომელიც დაიწყო ზაფხულს 1812 წელს ნაპოლეონის „დიდის მხედრობის“ შემსვეთ რუსეთში და დასრულდა იმავე წლის ქრისტეშობისთვეში ნაპოლეონის საშინელის დამარცხებით და „დიდის არმიის“ განადგურებით. ბედნიერი ვარსკვლავი კორსიკანელ გმირისა სამუდამოდ ჩაესვენა რუსეთის თვალუწვდენელ ველ მინდვრებში, კაობთა და ჭყანტობებში.

რუსეთი სამხედრო იმპერიაა და ბევრისაგან ბევრი ომი გამოუვლია, მაგრამ ყველაზე დიდს მნიშვნელობას 1812 წლის სამშობლო ომს აძლევენ რუსის ისტორიკოსნი. მართლაც ამ საოცარ ომის დროს დიდი მხნეობა, ენერგია და მამულის შვილობა გამოიჩინა რუსის ერმა. მაჯა ერისა, მხედრობისა, მთავრობისა და მეფისა ჰარმონიულად სციმდა სამშობლო ომის დროს და ამიტომაც ერმა სწორედ რომ სასწაული მოახდინა. გაანადგურა რუსეთმა და წაახდინა მტერი გოლიათი, ისეთი მტერი, რომელმაც ამ ომამდე თითქმის არ იცოდა—რა იყო დამარცხება, ისეთი მტერი, რომლის შიშით ევროპის სახელმწიფონი და მონარქნი ძრწოდნენ და კანკალდებდნენ.

ჩვენ, ქართველებისთვის, 1812 წლის სამშობლო ომიანობა-ლაშქრობას კერძო, განსაკუთრებული ინტერესიცა აქვს. ნაპოლეონთან ომიანობაში თავი ისახელა ჩვენმა თანამემამულემ პეტრე ბაგრატიონმა, რომელმაც სისხლი თვისი უხვად დგარა რუსის ერის წმინდა საქმისათვის და უკანასკნელად, ს. ბოროდინოსთან, 26 მარიაშობის-თვეს, სულ 47 წლის ვაჟაკმა, სიცოცხლეც შესწირა თვის ახალს სამშობლოს კეთილდღეობას. თავად პეტრესთან სხვა ქართველებიც იბრძოდნენ. ორი გენერალი კავალერიისა ფანჩულიძენი, კავალერიისავე გენერალი თავადი იაშვილი, პოლკოვ-

ნიკი იოსელიანი და ალბად სხვაც მრავალნი, რომელთა გვარი და სახელები ჩვენ არ ვიცით. მაშასადამე პატარა საქართველომ თავშივე ძმურად გაუწოდა ხელი რუსეთის ერს და მის საუკეთესო შვილებთან ერთად მანაც დაღვარა ანკარა სისხლი საერთო სამშობლოს კეთილდღეობისთვის.

როდესაც სმოლენსკსა და მოსკოვს შუა, ბოროდინოს ველ-მინდვრებზე იქედებოდა ბედი რუსეთისა, და იყრებოდა საძირკველი რუსეთის ერის პოლიტიკურის ცხოვრების თავისუფალის არსებობისა, როდესაც მადლიანი მარჯვენა ბაგრატიონისა მტერს მუსრს ავლებდა, სწორედ იმავე დროს, მის შორეულ პატარა საქართველოში, სადაც მისი წინაპრები თორმეტს საუკუნეს იცავდნენ მტრისაგან ქვეყანას, პოლიტიკური აგებულება მისი იფუშებოდა და მტვერდებოდა და თუ მადლი და ნიკია საქირო სადმე, სწორედ აქ იყო საქირო, მაგრამ რას იზამთ, ასეთი ყოფილა ბედი და წარუვალი კანონი მისი. სადაურსა სად წაიყვან, სად გაუთხრი სამარესაო, ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი.

მაშ ჩვენი ბედი ჩვენვე ვქედოთ და ვიშა და იხვრას თავი ვანებოთ.

ალ. ფრონელი.

ინიციატორები და სოფლის ძველ კირ ვარამს ახალ იარებსა ჰმატებენ. ყველასათვის ცხადია აქედგან ჩვენი დასკვნა, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს არსებულ წვრილი კრედიტის დაწესებულებათა რიგზედ წაყვანას და არა მარტო დახმარებას ახალ საკრედიტო კოოპერატივების დაარსებაში. ამ მხრე, მართალია, თეორეტიულს გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გამოცდილ პირების დაკვირვება და პრაქტიკაც მეტად საგულისხმიერო და საინტერესოა; ისეთ პირებისა, რომელთაც უმუშავნიათ სოფლად ამ დარკში.

ჩვენში უკვე საკმარისად არიან გამრავლებული საკრედიტო და შემხახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, ზოგიერთი მათგანი უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც არსებობს, მაშასადამე მოიპოვებია ისეთი პირნი, რომელთაც გამოცდილება დაანახვებდა, თუ როგორ ეგუება თეორია ჩენი სოფლის პირობებს. ასეთ პირების გამოცდილების შეკროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო კოოპერატივების საქმეში და ჟურნალი „კლდე“ მიმართავს ყველა იმათ დაეხმარონ ერთმანეთს აზრთა გაზიარებით, რათა თეორეტიულ დასაბუთებასთან ერთად,—მის გვერდით, ცხოვრებასთან უფრო დაახლოვებულმა ნაცადმაც შესაფერი ადგილი დაიჭიროს. მხოლოდ ამ გვარად შეიძლება გაუმჯობესდეს და კარგი ნაყოფი გამოიღოს საკრედიტო საქმე ჩვენს სოფელში.

კოოპერაცია და ეკონომიური ცხოვრება.

წერილი კრედიტის სოფლად.

საკითხი სოფლად წვრილი კრედიტის მოწყობისა ყველასათვის მეტად საზრუნავს საგანს შეადგენს. სახალხო კრედიტი დღეს სერიოზულ ყურადღებას იქცევს, რადგან უსესხოთ შეუძლებელია რაიმე გაუმჯობესების შეტანა სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობაში. მაგრამ წვრილი კრედიტის წესიერად მოწყობა სოფლად ისე ადვილი არ არის, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. მათის აზრით საკმარისია სახელმწიფო ბანკიდან სესხად თანხის გამოტანა და წვრილი კრედიტის საქმე გეჩარხული იქნება. ნამდვილად კი მარტო თანხის გამოტანა სახიფათოც არის სოფლისათვის, თუ მისი დაყენება მკვიდრ ნიადაგზედ და წესიერად წარმოება ვანმტკიცებული არ არის. უკანასკნელი კი ბევრად უფრო ძნელია პირველზედ.

სახელმწიფო ბანკი ადვილად იძლევა თანხას, მაგრამ სასტიკად ითხოვს, როგორც ყოველივე ამგვარი დაწესებულება, ამ თანხის წესიერს განაწილება-დაბრუნებას. ამას ხშირად ივიწყებენ ჩვენი

კოოპერატიული ხრონიკა.

უკანასკნელი ცნობებით თბილისის გუბერნიაში არსებობს 68 საკრედიტო ამხანაგობა, მათში 54 ქართულია.

პირველი ქართული საკრედიტო ამხანაგობა, აღმოსავლეთ საქართველოში, დაარსდა 26 მარტამ. 1907 წ. სოფ. დოესში (კორის მაზრა).

საკრედიტო კოოპერატივების ზრდა ქართულ კახეთში



საკრედიტო კოოპერატივების ზრდა ქართულ კახეთში

— ამას წინადა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა ნება დართო—გაიხსნას ქუთაისის გუბერნიაში 28 ახალი საკრედიტო ამხანაგობა (კოოპერაცია).

— როგორც ვადაძე წერს ს. პრიუტის ახლო რა- მდენივე ქართველი მესაქონლე აპირებს მერძეობის ამხანაგობის მოწყობას კარაქის და ყველის გასაყე- თებლად.

— მერძევეთა ამხანაგობა „ლილო“ ახლო მომავალში აპირებს წვერებისათვის ძროხების ყიდვას, რისათვის გადაუღვია 1000 მან.

— სოფ. საგარეჯოს მცხოვრებნი: მღვდლები ს. რკხილაძე დ. ბურთიაშვილი, ექიმი ფალიაშვილი, მას- სკალებელი პ. ტაუგვაძე და პროვინორი ნ. ბაზიერაშვილი აარსებენ საგარეჯოში მომხმარებელ საზოგადოებას.

შინაური მიმოხილვა.

რა ახასიათებს თანამედროვე ქართულ ცხოვ- რებას? სად არის მისი მაგარი ბჭე, სადა სდევს, მისი სუსტი მხარე? ქალაქიც და სოფელიც იმდენად აღსაგება უარყოფითი მოვლენებით, რომ, ერთი შეხედვით, ძნელია ამ საერთო არარობაში და სი- სუსტეში გამოიძებნოს ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მომავალი. მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენი ცხოვრება მაინც წინ მიდის და იგი ღღეს ის აღარ არის, რაც იყო ნახევარ საუკუნის წინადა, იძულებულ გვხდის ვეძებოთ მაში ის პოტენცია- ლური ძალა, ურომლისოდ შეუძლებელია რომელი- მე ორგანიზმის ცხოვრება. რომ ამ პოტენციალურმა ძალამ ერთხელ მაინც უნდა იჩინოს თავი, ამის თავმდებია ის, რომ ეს ძალა, როგორც ძალა სო- ციალური მუდამ ზრდასა და განვითარებას არის ჩვეული. ადრე თუ მალე იგი უნდა ამოძრავდეს ჩვენში და მთელის თავის სიგრძე სიკანით დასდგეს ჩვენს წინ. სოფელი, რომელიც ჯერ კიდევ ყვე- ლა ძაფებით არ არის გადაბმული ქალაქთან და ქალაქი, რომელიც ჯერ კიდევ სოფლის ბევრ მხა- რეს სტოვებს ხელუხლებლათ, უნდა იყენენ არამც თუ ერთი მეორის დამატება მხოლოდ, არამედ მათმა ურთიერთობამ უნდა წარმოშვას ჩვენში ის სინტეზი ეროვნულ ეკონომიურის ცხოვრებისა, რომელიც მხოლოდ ერთი უზრუნველ ჰყოფს ჩვენს მომავალს.

ჩვენი სოფელი ღარიბია, ქალაქები ნახევრად ჩვენი არ არის. მიუხედავად ამისა სოფელსაც და ამ ნახევრად არა ჩვენს ქალაქებს იძულებულნი ვართ დიდი ეროვნულ ეკონომიური როლი ვაკუ- თვით. ესკი ეჭვს იწვევს, როგორ შეიძლება ის იარაღი გახადო ბრძოლის იარაღად, რომელიც ჯერ

არა გაქვს და ის ადგილი აღიარო ბრძოლის ვე- ლად, რომელიც სხვას ეკუთვნის. ყოველ შემ- თხვევაში ასეთი ბრძოლა ნახევრათ წაგებულია. თბილისი, რომელიც მტკიცე ბჭე უნდა ყოფილი- ყო ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა, ფაქტი- ურად სხვისი სიმაგრეა; ანტურაჟი, რომელიც აწარმოვებს მთელს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას უსახოა. ღარიბი სოფლის მეურნე, ქალაქის პატა- რა მეწვრილმანე, ხელოსანი მამაპაპურის სამუშაო იარაღით, უტოდინარი მებაღე, ასეთივე მეცნახე— აი ის შომქმედნი პირნი, რომელნიც ვითომდა ჰქმნიან მას, აი ის „ულონო ყუათის“ მეომარნი, რომელნიც ჯერ კიდევ არ დანებებულან, თუმცა პოზიცია არც ერთი აღარ შერჩენიათ. ჩამოთვა- ლეთ მდიდარი ქართველი კომერსანტები, მათი სა- ხელები არაფერს გეტყვიან. იძულებულნი ხართ ისევ იმ „ულონო“ ხალხს მიმართოთ, რადგან სწო- რედ ეს არის ის პოტენციალური ძალა, რომე- ლიც ჩამარხულია ჩვენი სოციალური ორგანიზმის სახსოვებში. მაშასადამე აღორძინებაც იმ ადგილე- ბიდან უნდა დაიწყოს, სადაც ამ ძალას მოუყრია თავი. ეს ადგილები სოფელი და ჩვენი პატარა დაბა-ქალაქებია.

ბრძოლის გაწვევა თბილისში ჩვენ არ ძალგვიძს; და იმატომ კი არა რომ სუსტები ვართ: დიდი ქა- ლაქები მხოლოდ არენაა, სიწყობია უკვე დამზადე- ბულ სიმდიდრისა. ჩვენი ვაჭარი რომ თბ-ლისში გამოცხადდეს თავისი საწვრიმალთით, იქნება იხეი- როს, მაგრამ ეს ვერავითარ ცვლილებას ვერ მოახ- დენს. ეს ასეა არამც თუ ჩვენში, ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებშიაც. სიმდიდრე-კაპიტალი გროვდება პროვინციებში, მაღაროებში, პლანტა- ციებზედ, სოფელში, ქარხანა-ფაბრიკებში და მხო- ლოდ ხალხს ოქროდ ქცეული მიდის ისეთ ცენ- ტრებში, როგორიც არის ლონდონი, პარიზი, ჰამ- ბურგი და სხვა ქალაქები. დიდი ქალაქები უმთავ- რესად ასპარეზია კაპიტალისა, სადაც ბრძოლა სწარმოებს დიდის მასშტაბით და სადაც აღებ-მი- ცემობა ადგილს უთმობს სხვილ სპეკულიაციას...

მაშასადამე ჩვენი ვაჭრის ჩარევა თბილისის ვაჭრობაში დიდ ცვლილებას ვერ გამოიწვევს. იგი უნდა გაძლიერდეს, წელში გასწორდეს სწორედ იმ პატარა დაბა-ქალაქებში და სოფლებში, რო- მელთ ეკონომიური განვითარება ჩუმის, მაგრამ ჩქარის ტემპით წინ მიიწევს. მართალია, არც ეს პატარა ქალაქები და სოფლები არიან უცხო მო- ვაჭრეთა ზედ გავლენისაგან თავისუფალნი; უცხო

ვაქარი და ჩარჩი იქაც მათი მახრჩობელაა, მაგრამ თუ აქ შანსები ერთგან თანასწორნი არ არიან, მეორედგან ჩვენ ვაქარს მრავალი უპირატესობა აქვს.

ეს უკანასკნელი გარემოება რომ ნათლად ავხსნათ, ცოტა უნდა შევჩერდეთ. ჩვენი პატარა ქალაქების ვაქრობაც, როგორც ზევით ვსთქვით, ნახევრათ უცხოთა ხელშია, სახელდობრ ხომხებისა. ვისაც აინტერესებს ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, მან უსათუოდ ზედ მიწიენით უნდა შეისწავლოს ხასიათი და ზნე სომხურ ვაქრობისა. უნდა შეისწავლოს იმიტომ კი არა, რომ მათგან ვადმოვიღოთ ფანდები ვაქრობისა, მეთოდი და სისტემა მათის აღებ-მიცემობისა. არა! პირიქით, ეს საჭიროა, რომ მათ სისტემას და ვაქრულ ფსიხიკას გამოუჩნოთ ის სუსტი მხარე, რომელიც შეძლებას მოგვცემს უფრო მეტს იმედით შევხედოთ მომავალს.

ჩვენ ყველას გვაშინებს ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ თვალწინ ასე საოცრად მდიდრდებიან სხვანი. გამდიდრება და საწარმოვო ძალთა გამრავლება პირველი მაჩვენებელია ხალხის ძლიერებისა, მაგრამ უპირველესი საქმე ჯერ კიდევ ეს არ არის. ხალხის და მეტადრე ერის ფსევდო-სიმდიდრეზედ ბევრი ცრუ თეორია აღმოცენებულია და მრავალ ერთა ცხოვრება გვასწავლის, რომ სიმდიდრეს ღრმად უნდა გაუსინჯოს კაცმა კბელი მრავალგვარ შეცდომების თავიდან ასაცილებლად. ერის სიმდიდრე არ განისაზღვრება კერძო პირთა სიმდიდრით. მრავალი მდიდარი ჰყავს ებრაელ ერს, არც სომხებს აკლიათ ეს უკანასკნელები, მაგრამ არც ერთი და არც მეორე მდიდარ ერად არ ითვლება, რადგან არც ებრაელების, არც სომეხთა ეკონომიური სტრუქტურა ეროვნული არ არის.

ეკონომიურ ჯანმრთელობისთვის საჭიროა უფრო მეტად სერიოზული თვისებანი, ვიდრე ცარიელი სიმდიდრე. თუ ეკონომიურ ინტერესს ერისას ზედ არ ერთვის ღრმა ნაციონალური ინტერესი, უამისოდ იგი, როგორც შემკრები ძალა საერთო ეროვნულ ცხოვრებისა, ნულია! ეს უკანასკნელი ნაციონალური ინტერესი კი მარტო თავიდან, ან პატრიოტულ გრძნობიდან არ გამოიჩიკება; ამისთვის საჭიროა მთელი ის რთული სოციალური ორგანიზმი, რომელსაც ეროვნული ცხოვრება ეწოდება. ეს კი ცოტას არ წარმოადგენს. ტერიტორია, ენა, კულტურა, რელიგია,

სახელმწიფოებრივი ცხოვრება აწმყოში თუ წარსულში, საზოგადოებრივი დაწესებულებანი, როგორც კლასები და მისი გამომხატველი ორგანოები, ერთი სიტყვით მთელი ჯამი ისტორიულად შემუშავებულ კულტურისა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. აი, თუ ამაზედ ემყარება ეკონომიური მოქმედება ერისა, მარტო მაშინ აქვს მას მაგარი საფუძველი, მარტო მაშინ არის იგი შემქმნელი მომავლისა.

რას წარმოადგენენ ამ მხრივ ის ორი ეკონომიური ძალა, საქართველოში, ერთის მხრივ სომეხი და მეორეს მხრივ ქართველი, ერთი ძლიერის კაპიტალით, მეორე სუსტი მეურნეობაში, რომელთა შორის განწყობილება ადრე თუ მალე პირველის სამუდამო დამარცხებით უნდა დამთავრდეს? ეხლა ყველასთვის ცხადია, რომ სომხის კაპიტალმა მაგრად ჩასკიდა ხელი მთელ მხარეს. მან გააბა თავის ჩარჩის ქსელში ჩვენი გლეხი, — მან გახადა თავის მოვალედ ჩვენი წვრილი მოვაჭრე, იგი აძლევს ხელსაქმეს ჩვენ ხელოსანს და სულ ბოლოს მას გამოაქვს ყველა ის, რასაც ჰქმნის ჩვენი სოფელი. აი მისი სასტიკი და თანაც ძლიერი მხარე. მაგრამ შესწავლა და გამომხვევა იმისა, თუ რა ფსიხიკის საშუალებით ჩადის ამას, რა ეკონომიურის ინტერესით ასრულებს ის თავის მისიას დაგვანახებდა ჩვენ მის სუსტს მხარესაც.

რას წარმოადგენს მაგალითად ის სომეხი ვაქარი, რომელიც საქართველოს რომელიმე მიყრუებულ დაბა ქალაქში, ან სოფელში ვაქრობას მისდევს. მან იცის რომ ეს არის სომეხი, მან იცის აგრეთვე, რომ მისგან შორს, სადღაც არსებობს სომეხთი, იგი ერთგული შეილია თავის ეკლესიისა, იქნება ნაკლებ იცნობს თავის ქვეყნის წარსულს, მაგრამ ინსტიქტიურად გრძნობს, რომ იგი ზუღოუსის ჩამომავალი არ არის და ჯერ კიდევ მისი წინაპარნი სცხოვრობდნენ გონივრულად. ადვილად შესაძლებელია, რომ იგი პოლიტიკური რომანტიზმითაც არის გამსქვალული და როგორც ასეთი იგი იცნობს შექმნას ახალი პირობები თავის ეროვნულ ცხოვრებისა. იგი, როგორც ხედავთ, ზემოჩართული თვისებებით გარეგნულად მაინც კულტურული ადამიანია და ყველა ეს თვისებები შეძლებას აძლევს დიდის ეშხით აწარმოვოს თავის საქმე და იფიქროს არა მარტო თავის კეთილდღეობაზედ, არამედ გულის ყური თავის ერსაც ათხოვოს და მისთვისაც იზრუნოს.

მაგრამ ერთი გარემოება, რომლის მნიშვნე-

ლობა, პირველის შეხედვით, პარადოქსალურია სულ სხვა ელფერს აძლევს მთელს მის არსებობას. სომხის ვაქარი ჩვენში უმეტეს შემთხვევაში მოსული ვაქარია. მაგრამ ეს სავსებით ვერ გამოხატავს მის მდგომარეობას. იგი უბინადროა. ამას კი სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ამ სიტყვას შეუძლიან სავსებით ამოსქამოს მისი არსება. ვაქრობა მარტო კერძო საქმე არ არის. ვაქარი თავის კერძო მოგების გარდა საზოგადო ფუნქციას ეწევა, ამით კი ეროვნულსაც. ამიტომაც არის, რომ კარში გასული სომეხი ვაქარი ველარ ასრულებს თავის ეროვნულ სომხურ დანიშნულებას, რადგან იგი მოქმედობს სხვა წრეში, სხვა ხალხში. იგი ავანტურისტი არ არის საშოვრად წამოსული, პირიქით სესტიკმა ისტორიულმა პირობებმა აიძულეს აყრილიყო თავის ბინიდან და მოეშალა თავისი კარმიდამო, ჩაეჭრა ცეცხლი თავის სამშობლოს ბუხარში, მაგრამ სწორედ ეს გარემოებაა, რომ მას, სამშობლოდან გარდახეცილს, არც კოლონისტად ხდის, რომ უცხო ქვეყანაში შექმნილი ქონებით გაამდიდროს თავისი ერი, წინ წასწიოს ვაქრობა თავის ერისა, გზა გაუკაფოს ვაქრობისა იმ საქონელს, რომელიც მის-სამშობლოში მზადდება. ერთის სიტყვით იგი უბინადროა, იგი მოშლილი კერის პატრონია და მისი მოქმედება სამშობლო საზღვრების გარეშე მოკლებული იმ ეროვნულ მნიშვნელობას, რითაც ისე ძლიერათ არის შეიარაღებული მაგალითად გერმანელი კოლონისტი, გასული თავის სამშობლოს საზღვრებს, რომ გზა გაუკაფოს თავის ინდუსტრიას, თავის ვაქრობას.

ჩვენს საზოგადოებაში ღრმად აქვს ფესვი მოკიდებული იმ აზრს, რომ სომეხი ვაქარი ჩვენში შექმნილ ქონებას გზავნის სამშობლოში, ახმარებს თავის ერის საზოგადო კულტურულ საქმეს. ეს აზრი მხოლოდ ნახევრად არის მართალი, რადგან სომეხმა რომ სავსებით განახორციელოს იგი, ამას ზემო-აღნიშნული პირობები უშლიან ხელს. ზემო-აღნიშნული პირობები ხელს უშლის სომეხ ვაქარს არამც თუ აღასრულოს თავისი ეროვნული ფუნქცია, არამედ ანახევრებს მის წმინდა ეკონომიურ ინტერესსაც. ის გარემოება, რომ იგი ვაქრობს უცხო ხალხში, მას ნებას არ აძლევს სავსებით გამოიყენოს თავისი სიმდიდრე, იგი ვერ გასცილებია უბრალო ვაქრობას, უბრალო მაკლერობას ქარხნისა და მყიდველს შორის. ის რომ სამშობლოში იყვეს, ის იქნება ვაქარი პატრიოტი,

რომელიც ღრმად დაინტერესებული იქნებოდა იმ კუთხის ბედით, სადაც ის ვაქრობს. მაგრამ ის უცხო ქვეყანაშია, მას არ აინტერესებს საერთო კეთილ დღეობა, პოლიტიკური მდგომარეობა იმ ერისა, რომელშიაც ის ვაქრობს. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო ეკონომიურ ცხოვრებისათვის, რომლითაც ისიც ზარალშია, როგორც ვაქარი. ამ რიგად აბსოლიუტურის თვალსაზრისით იგი მომცდარი ფაქტორია საზოგადოებრივ ცხოვრებისა, თუმცა მისი საქმე, როგორც კერძო ინიციატივა შეძლებას აძლევს გამდიდრდეს.

მაშასადამე მცირედის გამოჩაყლისით, რითაც ის მხოლოდ მცირედ ასრულებს თავის ეროვნულ ფუნქციას, იგი რჩება მარტო ვაქარად, მოვანშედ, რომლის ერთად ერთ მიზანს შეადგენს ჯობის გავსება და რაკი იგი ძალაუვნებურად ხელ-ფეხ შეკრულია თავის ინიციატივაში, მისი ვაქრობაც პრიმიტიულია. გამდიდრებული ერთ ადგილას იგი გადადის სხვაგან და რადგან ადგილობრივი ქართული ცხოვრება თვითვე ვითარდება, იმის ადგილს იქერს ქართველი ვაქარი. ქართველმა უნდა დაიჭიროს მისი ადგილი, უპარველესად იმიტომ, რომ იგი ბუნებრივი კანდიდატია ამ ადგილისა, ეს ერთი, მაგრამ მეორე და ღირს შესანიშნავი ის არის, რომ ერთხელაც არის უნდა მოიხსოს ის რეზერვი უბინადრო მოვაჭრისა, რომლის წყალობით მოვაჭრე სომხის ადგილს საქართველოში მოვაჭრე სომეხევე იჭერდა.

სულ სხვაა ქართველი ვაქარი, რომელიც გამოდის მისთვის ახალ სარბიელზედ. მისთვის ვაქრობა ცარიელი მოგება არ არის. მის ვაქრობას ეროვნული ფუნქცია აქვს და თუ ერთის მხრივ ის ასრულებს ეროვნულ ფუნქციას, ის ჰქმნის არა მარტო თავის სიმდიდრეს, ეროვნულ სიმდიდრესაც. ყოვლად წარმოუდგენელია ქართველი ვაქარი პოლიტიკურის ინდიფერენტისმით იყოს შეპყრობილი. მისი ბედი გადაბმულია მის ქვეყნის ბედთან და მაშასადამე იგი ეცდება ჩაებას საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი არ დაერიდება თავის მიწა წყალზედ პიონერად გამოვადეს ისეთ საქმეში, რომელიც გაამდიდრებს არა მარტო მას, არამედ მათელ კუთხესაც წინ წასწევს. ცარიელ მოგებას მის ანგარიშში ზედ დაერთობა უზრუნველყოფაც მთელის ერისა, რომელიც დიდს ეკონომიურ ცხოვრებაში საურთიერთო თავმდებობის როლს ასრულებს და ამრიგად იგი გახდება ქვეშარტი ფაქტორი ეროვნულ ცხოვრებისა.

ამრიგად ქართველი ვაჭარი და სომეხი ვაჭარი საქართველოში ორი სხვა და სხვა ფსიხიკაა. პირველი შემქმნელია მომავალში ეროვნულ-ეკონომიურ ცხოვრებისა, მეორე მისდევს მარტო მოგებას, პირველი ბინადარია ათასის ინტერესებით მიჯაჭვული თავის მიწა წყალს, მეორე უბინადრო, რომელსაც უცხო ერთან არაფერი არ აერთებს; პირველი ეროვნულია, მეორე ანტიეროვნული. აი განსხვავება. და თუ ყველა ამას ზედ დაუმატებთ იმ პატრიოტიზმს, რომლითაც შეხვდება საქართველო თავის ეკონომიურ ალორძინების დასაწყისს, ჩვენ ხელთ გვექნება მთელი ჯამი იმ განსხვავებისა, რომელიც დიდს უპირატესობას ჰქმნის ჩვენთვის.

ა—ი.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სიღნაღი- თბილის-სიღნაღის შარაგზის დაშორებით, ზოგან თითქმის მთელი ვერსის სივრცეზედ, სალიანდაგოდ დამზადებული, დაგროვილი მიწა, მომუშავეთათვის აშენებული მომსახურება ფ რდულები, სამუშაო პუნქტებზედ შემოკრებილი კარგა ბლომა მუშათა ფუსფუსი, აუარებელ ცხენის ურმებით მიწის გადაზიდვად მოწოდება და ყველა ამას თან სხვა და სხვა ფერის მოხელეთა და მონარდეთა განუყრელი მიმოსვლა, იმ ურწმუნო ადგილობრვ მცხოვრებთაც კი, რომელთაც არა სჯეროდათ კახეთის რკინის გზის განხორციელება, საბოლოოდ სრულს იმედს უნერგავს გულში ამ დიდი საქმის განხორციელებისას და ამგვარად სიტყვიერ დიდი ხნის დანაპირს საქმით დანახვას მოილოდინებს.

მაგრამ სამაგიეროდ, როგორც უბრალო სამუშაოს, ისე დიდი სანარდობის უცხო ელემენტების მიერ ხელთ გდება, ადგილობრივ მცხოვრებთა კი სამუშაოდან თითქმის მთლად განდევნა, მონარდეთა მიერ თავგასულობა და თვითნებობა, რაც გამოიხატება ამათ მიერ ჯერ კიდევ რკინის გზისთვის საჭირო ადგილების კანონიერად ჩამორთმევაში—დაქერაში, ქვა და ქვიშის და სხვა ბუნებრივ სიმდიდრით მემამულეთა დაუკითხავად სარგებლობაში; და ყველა ამგვარ არა სასიამოვნო მოვლენის შესახებ ხმის ამოუღებლობა და ჩვენი ხალხის ბედის ამარად გაუმაძლარ რკინის გზის მკეთებელთა ხელში ჩაგდება, ადგილობრივ მცხოვრებთ მეორეს მხრივ, ზემოაღნიშნულ იმედთან ერთად-ზოგიერთს სასოწარკვევილებში აგდებს, გულში

უიმედობას უსახავს და აღარ სჯერა, რომ განხორციელებული რკინის გზა მას რაიმე სარგებლობას მოუტანს.

ყველა ამის მნახველს მაგონდება ის აურ-ზაური და თავპირის მტრევა, რომელიც ხდებოდა თავად-აზნაურულ წრეებში კ. რკ. გზის ბედის გადაწყვეტის შემდგომ, როდესაც ორთავე მებრძოლი მხარე ქართველი ხალხის ინტერესს იხვევდა ხელსა და ამ ინტერესების დაცვა იმ ხანად თვითუფლებს მათგანს თავის საკუთარ მონოპოლიად მიიჩნდა; დღეს, საქმის დროს, ფერზედ ეტყობა, მაშინდელი „მებრძოლი“ რა გულწრფელიც იყვნენ, როცა ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესს, როგორც მუშა ძალისას, ისე მეპატრონისას მოსარჩელეც არავინა ჰყავს.

მოხეტიალე.

თეატრი და ხელოვნება.

დღეს, 16-ს ენკენისთვის, იხსნება ქართული თეატრის სეზონი ტრადიციონულ „სამშობლოში“; ძნელი სათქმელია, თუ რამდენად დააკმაყოფილებს „დრამატული საზოგადოება“ არა დრამატულ საზოგადოების ესტეტიურს ?ოთხთვილივთა, რამდენად შეასრულებს თავის დანიშნულებას—გონიერ გასართობთან ერთად შექქმნას გონიერი და გულჩაწაფდომი „სკოლაც“.

მაგრამ კარგად შერჩეული პიესები, დაკვირვებით მათი დადგმა და სიყვარულით განზრახული განახლება გარეგნული მოწოდებებისა, დეკორაციებისა ტანისამოსისა, ამთავითვე იმედს გვაძლევს, რომ წინა წლებზედ უკეთ იმოქმედენ ჩვენი სცენის მოღვაწენი. თუმცა ერთი უკეთეს მსახიობთაგანი—იშხნელი,—ქუთაისს მიდის, მაგრამ დრამატული საზოგადოება ცდილა შეეცხოს ეს ნაკლიც და ანსამბლისათვისაც მეტად ეზრუნა.

რეპერტუარი პირველ თვისათვის გამოირკვა ამრიგად 16-ს ენკ. „სამშობლო“.

20-ს ახალი პიესა შეუკაშვილისა „მთის ზღაპარი“, სიმბოლური მშვენიერებით სავსე, რომელსაც ახალის დეკორაციებით და ტანთსაცმელით სდგავს შალიკაშვილი. 23 ს „გამკემი“ ი. გედევანიშვილისა ვლ. ალ. მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით. 29 და 30 კონსტან დრონი სდგავს „ანტიგონას“ სოფოკლესი, ორიგინალური ინსცენიროვით: პიესა ორს დღეს გაგრძელდება, მწვანე ხავერდის ფონზედ, უდეკარაკით, და სპეციალურ მუსიკით მენდელსონისა (ნ. გ. ქართველიშვილის ლოტბარობით).

ღვინობისთვის: „მსხვირბლი“, ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა, რომელსაც, ვეპვთ, შეეტყობა იშხნელის ღვითური ნაპერწკლის გამოკლება.

„კონცერტი“ გ. ბარისა.

„ყველი სიყვარულისა“ კონსტ. ანდრ. ერთ მოქმედებაში დრამატული სურათი და

„ოჯახის ბურჯი“ ნახუტრიშვილისა.

როგორც ხედავს მკითხველი, პიესები კარგადაა შერჩეული და იმედი ვიქონიოთ, რომ რჩეულიდგან ანარჩევას არ შეგვითხზიან: ამისთვის კი საზოგადოებამ უნდა თავისი მგებობრივი ხელი გაუწოდოს მსახიობთ და აბქენიზშით და ცრუ კრიტიკით გული არ გაუტეხოს...

რ. გ.

ლობა, პირველის შეხედვით, პარადოქსალურია სულ სხვა ელფერს აძლევს მთელს მის არსებობას. სომხის ვაქარი ჩვენში უმეტეს შემთხვევაში მოსული ვაქარია. მაგრამ ეს სავესებით ვერ გამოხატავს მის მდგომარეობას. იგი უბინადრობა. ამას კი სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ამ სიტყვას შეუძლიან სავესებით ამოსქამოს მისი არსება. ვაქრობა მარტო კერძო საქმე არ არის. ვაქარი თავის კერძო მოგების გარდა საზოგადო ფუნქციას ეწევა; ამით კი ეროვნულსაც. ამიტომაც არის, რომ კარში გასული სომეხი ვაქარი ვეღარ ასრულებს თავის ეროვნულ სომხურ დანიშნულებას, რადგან იგი მოქმედობს სხვა წრეში, სხვა ხალხში. იგი ავანტურისტი არ არის საზოგადო წამოსული, პირიქით სესტიკმა ისტორიულმა პირობებმა აიძულეს აყრილიყო თავის ბინიდან და მოეშალა თავისი კარმიდამო, ჩაექრო ცეცხლი თავის სამშობლოს ბუხარში, მაგრამ სწორედ ეს გარემოებაა, რომ მას, სამშობლოდან გარდახვეწილს, არც კოლონისტად ხდის, რომ უცხო ქვეყანაში შეძენილი ქონებით გაამდიდროს თავისი ერი, წინ წასწიოს ვაქრობა თავის ერისა, გზა გაუკაფოს ვაქრობისა იმ საქონელს, რომელიც მის სამშობლოში მზადდება. ერთის სიტყვით იგი უბინადრობა, იგი მოშლილი კერის პატრონია და მისი მოქმედება სამშობლო საზღვრების გარეშე მოკლებული იმ ეროვნულ მნიშვნელობას, რითაც ისე ძლიერათ არის შეიარაღებული მაგალითად გერმანელი კოლონისტი, გასული თავის სამშობლოს საზღვრებს, რომ გზა გაუკაფოს თავის ინდუსტრიას, თავის ვაქრობას.

ჩვენს საზოგადოებაში ღრმად აქვს ფეხვი მოკიდებული იმ აზრს, რომ სომეხი ვაქარი ჩვენში შეძენილ ქონებას გზავნის სამშობლოში, ახმარებს თავის ერის საზოგადო კულტურულ საქმეს. ეს აზრი მხოლოდ ნახევრად არის მართალი, რადგან სომეხმა რომ სავესებით განახორციელოს იგი, ამას ზემო-აღნიშნული პირობები უშლიან ხელს. ზემო-აღნიშნული პირობები ხელს უშლის სომეხ ვაქარს არამც თუ აღასრულოს თავისი ეროვნული ფუნქცია, არამედ ანახევრებს მის წმინდა ეკონომიურ ინტერესსაც. ის გარემოება, რომ იგი ვაქრობს უცხო ხალხში, მას ნებას არ აძლევს სავესებით გამოიყენოს თავისი სიმდიდრე, იგი ვერ გასცილებია უბრალო ვაქრობას, უბრალო მაკლერობას ქარხნისა და მყიდველს შორის. ის რომ სამშობლოში იყვეს, ის იქნება ვაქარი პატრიოტი,

რომელიც ღრმად დაინტერესებული იქნებოდა იმ კუთხის ბედით, სადაც ის ვაქრობს. მაგრამ ის უცხო ქვეყანაშია, მას არ აინტერესებს საერთო კეთილ დღეობა, პოლიტიკური მდგომარეობა იმ ერისა, რომელშიაც ის ვაქრობს. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო ეკონომიურ ცხოვრებისათვის, რომლითაც ისიც ზარალშია, როგორც ვაქარი. ამ რიგად აბსოლიუტურის თვალსაზრისით იგი მომცდარი ფაქტორია საზოგადოებრივ ცხოვრებისა, თუმცა მისი საქმე, როგორც კერძო ინიციატივა შეძლებას აძლევს გამდიდრდეს.

მაშასადამე მცირედის გამონაკლისით, რითაც ის მხოლოდ მცირედ ასრულებს თავის ეროვნულ ფუნქციას, იგი რჩება მარტო ვაქრად, მოვასხედ, რომლის ერთად ერთ მიზანს შეადგენს ჯიბის გავსება და რაკი იგი ძალაუფლებურად ხელ-ფეხ შეკრულია თავის ინიციატივაში, მისი ვაქრობაც პრიმიტიულია. გამდიდრებული ერთ ადგილას იგი გადადის სხვაგან და რადგან ადგილობრივი ქართული ცხოვრება თვითვე ვითარდება, იმის ადგილს იქერს ქართველი ვაქარი. ქართველმა უნდა დაიჭიროს მისი ადგილი, უპარველესად იმიტომ, რომ იგი ბუნებრივი კანდიდატია ამ ადგილისა, ეს ერთი, მაგრამ მეორე და ღირს შესანიშნავი ის არის, რომ ერთხელაც არის უნდა მოისპოს ის რეზერვი უბინადრობა მოვაქრისა, რომლის წყალობით მოვაქრე სომხის ადგილს საქართველოში მოვაქრე სომეხევე იქერდა.

სულ სხვაა ქართველი ვაქარი, რომელიც გამოდის მისთვის ახალ სარბიელზედ. მისთვის ვაქრობა ცარიელი მოგება არ არის. მის ვაქრობას ეროვნული ფუნქცია აქვს და თუ ერთის მხრივ ის ასრულებს ეროვნულ ფუნქციას, ის ჰქმნის არა მარტო თავის სიმდიდრეს, ეროვნულ სიმდიდრესაც. ყოველად წარმოუდგენელია ქართველი ვაქარი პოლიტიკურის ინდიფერენტიზმით იყოს შეპყრობილი. მისი ბედი გადაბმულია მის ქვეყნის ბედთან და მაშასადამე იგი ეცდება ჩაებას საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი არ დაერიდება თავის მიწა წყალზედ პიონერად გამოვიდეს ისეთ საქმეში, რომელიც გაამდიდრებს არა მარტო მას, არამედ მთელ კუთხესაც წინ წასწევს. ცარიელ მოგებას მის ანგარიშში ზედ დაერთობა უზრუნველყოფაც მთელის ერისა, რომელიც დიდს ეკონომიურ ცხოვრებაში საურთიერთო თავმდებობის როლს ასრულებს და ამრიგად იგი გახდება ქვემარტი ფაქტორი ეროვნულ ცხოვრებისა.

ამრიგად ქართველი ვაჭარი და სომეხი ვაჭარი საქართველოში ორი სხვა და სხვა ფსიხიკაა. პირველი შემქმნელია მომავალში ეროვნულ-ეკონომიურ ცხოვრებისა, მეორე მისდევს მარტო მოგებას, პირველი ბინადარია ათასის ინტერესებით მიჯაჭვული თავის მიწა წყალს, მეორე უბინადრო, რომელსაც უცხო ერთან არაფერი არ აერთებს; პირველი ეროვნულია, მეორე ანტიეროვნული. აი განსხვავება. და თუ ყველა ამას ზედ დაუმატებთ იმ პატრიოტიზმს, რომლითაც შეხვდებოდა საქართველო თავის ეკონომიურ ალორძინების დასაწყისს, ჩვენ ხელთ გვიქნება მთელი ჯამი იმ განსხვავებისა, რომელიც დიდს უპირატესობას ჰქმნის ჩვენთვის.

ა—ი.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სიღნაღი. თბილის-სიღნაღის შარავზის დაშორებით, ზოგან თითქმის მთელი ვერსის სივრცეზედ, სალიანდაგოდ დამზადებული, დაგროვილი მიწა, მომუშავეთათვის აშენებული მომსახურებელი ფ რღუ-ლები, სამუშაო პუნქტებზედ შემოკრებილი კარგა ბლომა მუშათა ფუსფუსი, აუარებელ ცხენის ურ-მებით მიწის გადაზიდვად მომზადდა და ყველა ამას თან სხვა და სხვა ფერის მოხელეთა და მონარდეთა განუყრელი მიმოსვლა, იმ ურწმუნო ადგილობრვ მცხოვრებთაც კი, რომელთაც არა სჯეროდათ კახეთის რკინის გზის განხორციელება, საბოლოოდ სრულს იმედს უნერგავს გულში ამ დიდი საქმის განხორციელებისას და ამგვარად სიტყვიერ დიდი ხნის დანაპირს საქმით დანახვას მოილოდინებს.

მაგრამ სამაგიეროდ, როგორც უბრალო სამუშაოს, ისე დიდი სანარდუების უცხო ელემენტების მიერ ხელთ გდება, ადგილობრივ მცხოვრებთა კი სამუშაოდან თითქმის მთლად განდევნა, მონარდეთა მიერ თავგასულობა და თვითნებობა, რაც გამოიხატება ამათ მიერ ჯერ კიდევ რკინის გზისთვის საჭირო ადგილების კანონიერად ჩამორთმევად მის—დაქერაში, ქვა და ქვიშის და სხვა ბუნებრივ სიმდიდრით მემამულეთა დაუკითხავად სარგებლობაში; და ყველა ამგვარ არა სასიამოვნო მოვლენის შესახებ ხმის ამოუღებლობა და ჩვენი ხალხის ბედის ამარად გაუმძღარ რკინის გზის მკეოებელთა ხელში ჩაგდება, ადგილობრივ მცხოვრებთ მეორეს მხრივ, ზემოაღნიშნულ იმედთან ერთად-ზოგიერთს სასოწარკვეთილებაში აგდებს, გულში

უიმედობას უსახავს და აღარ სჯერა, რომ განხორციელებული რკინის გზა მას რაიმე სარგებლობას მოუტანს.

ყველა ამის მნახველს მაგონდება ის აურ-ზაურ-რი და თავ-პირის მტვრევა, რომელიც ხდებოდა თავად-აზნაურულ წრეებში კ. რკ. გზის ბედის გადაწყვეტის შემდგომ, როდესაც ორთავე მებრძოლი მხარე ქართველი ხალხის ინტერესს იხვევდა ხელსა და ამ ინტერესების დაცვა იმ ხანად თვითეულს მათგანს თავის საკუთარ მონოპოლიად მიაჩნდა; დღეს, საქმის დროს, ფერზედ ეტყობა, მაშინდელი „მებრძოლნი“ რა გულწრფელნიც იყვნენ, როცა ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესს, როგორც მუშა ძალისას, ისე მებატრონისას მოსარჩელეც არავინა ჰყავს.

მოხეტიალე.

თეატრი და ხელოვნება.

დღეს, 16-ს ენკენისთვის, იხსნება ქართული თეატრის სეზონი ტრადიციონულ „სამშობლოში“; ძნელი სათქმელია, თუ რამდენად დააკმაყოფილებს „დრამატიული საზოგადოება“ არა დრამატიულ საზოგადოების ესტეტიკურ მოთხოვნებს, რამდენად შეასრულებს თავის დანიშნულებას—გონიერ გასართობთან ერთად შექმნას გონიერი და გულჩასაწდომი „სკოლა“.

მაგრამ კარგად შერჩეული პიესები, დაკვირვებით მათი დადგმა და სიყვარულით განზრახული განახლება გარეგნული მოწყობილებისა, დეკორაციებისა ტანისამოსისა, ამთავითვე იმედს გვაძლევს, რომ წინა წლებზედ უკეთ იმოქმედენ ჩვენი სცენის მოღვაწენი. თუმცა ერთი უკეთეს მსახიობთაგანი—იშნელი, —ქუთაისს მიდის, მაგრამ დრამატიული საზოგადოება ცდილა შეეგვო ეს ნაკლიც და ანსამბლი-სათვისაც შეტად ვზრუნა.

რეპერტუარი პირველ თვისათვის გამოირკვა ამრიგად 16-ს ენკ. „სამშობლო“.

20-ს ახალი პიესა შიუკაშვილისა „მთის ზღაპარი“, სიმბოლიური მშვენიერებით სავსე, რომელსაც ახალის დეკორაციებით და ტანსაცმელით სდგავს შალიკაშვილი. 23-ს „გამკვი“ ი. გედევანიშვილისა ვლ. ალ. მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით. 29 და 30 კონსტანდინდრანი სდგავს „ანტიგონას“ სოფოკლესი, ორიგინალური ინსცენირობით: პიესა ორს დღეს გაგრძელდება, მწვანე ხავერდის ფონზედ, უდეკარაციოთ, და სპეციალურ მუსიკით მენდელსონისა (ნ. გ. ქართველიშვილის ლობთარობით).

ღვინობისთვის: „მსხვირბლი“, ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა, რომელსაც, ვეპეტო, შეეტყობა იშნელის ლეთიური ნაპერწკლის გამოკლება.

„კონცერტი“ გ. ბარისა.

„ყველი სიყვარულისა“ კონსტ. ანდრ. ერთ მოქმედებიანი დრამატიული სურათი და

„ოჯახის ბურჯი“ ნახუცრიშვილისა.

როგორც ხედავს მკითხველი, პიესები კარგადაა შერჩეული და იმედი ვიქონიოთ, რომ რჩეულიდან ანარჩევს არ შეგვითხოვან: ამისთვის კი საზოგადოებამ უნდა თავისი მგებრული ხელი გაუწოდოს მსახიობთ და აბქენიზმით და ცრუ კრიტიკით გული არ გაუტეხოს...

რ. გ.

ნაკრები.

ახალი ცნობებით 1 იანვ. 1911 წელს რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა რიცხვი უდრდა 163,919,000 სულს ორივე სქესისა. საერთოდ მთელ იმპერიაში საშუალოდ 100 კაცზედ 99,6 ქალი მოდის.

წოდებრც რუსეთის მცხოვრებნი იყოფებიან ასე: 1000 სულ მცხოვრებზედ მოდის: 771—გლეხი, 107—„მეშენი“, 66—სხვა და 1 სვა ეროვნებისა („ინოროდები“), 23—ყაზახი, 15—თავადი და აზნაური, 5—სამღვდელო პირი, 5—საპატიო მოქალაქე და 8-ც სხვა და სხვა წოდებისა.

სასარგებლო წიგნები

Борьба поляков за существование в Пруссии проф. Л. Бернгарда, ფ.სი 2 მ. 50 კ. ყიილება ყველგან.

Мелиорации, мелиоративныя т-ства и мелиоративный кредитъ въ Россіи З. С. Каценеленбаума, ფ.სი 1 მ. 50 კ. книгоиздательство Сытина. Москва.

Кооперация въ сельскомъ хозяйствѣ А. Н. Анцыферова, ფ.სი 2 მანეთი.

Спутникъ по молочному хозяйству и скотоводству С. Фридолинъ и Юрмалианъ. Харьковъ. Общество сельскаго хозяйства.

საქართველოს ეკონომიური ისტორია. ი. ჯავახიშვილი იყიდება წ. კ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.

ჩვენი ფოსტა

ქურ. „კლდე“ ატყობინებს თავის მკითხველებს, რომ მას შეუძლიან სისტემატიურად მიაწოდოს პასუხი მკითხველებს შემდეგ საკითხებზე: საადგილ მამულო, იურიდიულ და კოოპერატიულ დარგებიდან.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

განცხადებანი

ქ. გორში გამოდის ყოველდღიური სალიტერატურო, სავაჭრო-სამეურნეო სასოფლო გაზეთი

„ქართლი“

ყოველ-კვირულ სურათებიანი დამატებით.

დამატებით

გაზეთი წლიურად ღირება	—	—	—	5 მ.
„ ნახევარის წლით	—	—	—	2 მ. 60 კ.
„ სამი თვით	—	—	—	1 მ. 50 კ.
„ ერთი თვით	—	—	—	45 კ.

უდამატებოთ

გაზეთი წლიურად ეღირება	—	—	—	4 მან.
„ ნახევარის წლით	—	—	—	2 მ. 30 კ.
„ სამი თვით	—	—	—	1 მ. 20 კ.
„ ერთი თვით	—	—	—	55 კ.

ცალკე ნომერი დამატებით ყველგან 5 კაპ. უდამატებოთ 3 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე—ერთი შაური. სამ-გლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და უდამატებოდ. შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველ-დღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ეკალაძე-ცინცაძე. მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს. ფული და მას. ღირება მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

სასაღსო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის. (არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენსთვიდან წლის დამლევაზე ღირს 3 მ. თუქში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ). საზღვარ-გარედ თვეში ზედ მკეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მოწერით (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მეორესათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

პირველ ივლისამდე.